სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 12 ოქტომბერი 2000 №197 (1219) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაში იყო!

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

იტალია 2:0 საქართველო

11 ოქტომბერი. ანკონა, „დელ კონეერო" 23:45 26 000 მაყურებელი

ნაპერწკლისგან ალი არ აინთო

REUTERS ანკონადან

ჯოვანი ტრაპატონიმ იმდენი ინერვიულა, ლამის ბოლი აუვიდა

დღეს საღამოს საქართველომ მართლაც დაგვანახა, რომ ის ჩვენი ყველაზე სახიფათო მეტოქეა — თავი იმართლა თუ ალალად თქვა ჯოვანი ტრაპატონიმ, ძნელი გასარკვევია. ფაქტია, რომ თქვა. თან ისიც დააყოლა — პირველ ტაიმში ტოლდომ გვიხსნა, თანაც ორჯერო.

იტალიელთა მეკარემ კიდევ ორჯერ მეორე ტაიმშიც გაგვამწარა, ამდენივე გოლი კი ჩვენს კარში გავიდა. იყო, არ იყო — ორივე პენალტი ასეთი იყო. შესაძლოა, ჩვენ მოგვეჩვენა ასე, მაგრამ მსაჯს რომ თვალი დავადგით და კინაღამ ფეხი მოვტეხეთ, ფაქტია.

ტოლდოს კი რას ვერჩით: მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და აწი რაც ნაკლებს გაუშვებს (თბილისური საპასუხოს გარდა), მით უკეთესი.

ჩვენი კორესპონდენტის რეპორტაჟი ანკონადან იხილეთ მეორე გვერდზე.



REUTERS ანკონადან

თემური გართლაც იყო რაჯვის მეთაური. ქეცბაიამ ამჯერად ფრანჩესკო ტოტის აჯობა

პენალტსაც გატანა უნდა, თანაც ორს. ალესანდრო დელ პიეროს ვინჩენცო მონტელა ულოცავს

ჯანაშიას პარადოქსი



ლოკომოტივისთვის ჯანზეა, ნაკრებისთვის ტვინშერყეული

სტეფანია ნერვიულობს

სიეტლს თავდაღწეულ ქართველ კალათბურთელს ხელს არც ნიუ იორკი აძლევს



... სად იყო 1980 წლის შემოდგომაზე დიუსელდორფი? შორს. და ირლანდიური „შოტერფორდი"?

... საქართველოს ნაკრები კი მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის შესარჩევში ჩაერთო. ვინ არიან მეტოქეები? როგორ ჩატარდა გასული 16 პირველობა?

... 2002 წლის ჩემპიონატის კალენდარი — ცხრილები თქვენი ხელით შეავსეთ

... პლაკატი: ალესანდრო დელ პიერო და სიდნეი 2000-ის ყველა მედალოსანი

ჟურნალი სარბიელი

უკვე ჯიხურებშია

ფასი 2 ლარი

ინგლისი ბოლო ადგილზეა! ალბანეთმა საბერძნეთს მოუგო!

ამ და დანარჩენი მატჩების ანგარიშები იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

ვახტანგ ბზიკაძე

ანკონადან

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

იტალია 2:0 საქართველო

11 ოქტომბერი. ანკონა. 23.45. „დელ კონერო“. 26 000 მაყურებელი

1:0, 2:0 დელ პიერო (47ბ, 88ბ)

თამაში იყო!

ქართველებმა იტალია და საქართველო გააკვირვეს

ფეხბურთში იმაზე კარგი იშვიათად თუ რამეა, მეტოქეს გამარჯვებული რომ ეწვევი და დაუმარცხებელი დასტოვებ.

საქართველოს ნაკრები, რომელიც სამი დღე ცხოვრობდა იტალიურ ქალაქ ანკონას ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „სპორტინგში“, თავაწეული ჩამოვიდა ფეხბურთის მეორე სამშობლოში და ზღვისპირა ოლქ მარკეს ლაჟვარდოვან ცას იმედიანი მთხოვნელის თვალით ახედა — გულდაწყვეტილს ღმერთი ნურც აქედან წაგვიყვანსო.

ღმერთმა, ეტყობა, უფრო ძლიერის ვედრება შეისმინა, რაკი გუშინ ჩვენმა ნაკრებმა ორბურთიანი სხვაობით, ოდენ ორი პენალტით წააგო იტალიასთან.

თამაშამდე მიკროტრავმები აწუხებდათ ორშაბათის ვარჯიშზე ვარდნისას ფეხნატკენ გიორგი დემეტრაძეს, ახალანგინამორჩენილ გოჩა ჯამარაულს, ძველტრავმაგამიზეზებულ კახა კალაძეს და მუხლზე სისხლჩაქცეულ ზურაბ ხიზანიშვილს. თუმცა ამ ტრავმებს არცერთისთვის უნდა შეეშალა თამაშში ხელი. და მაინც, მწვრთნელებმა ფეხნატკენი დემეტრაძის ძირითადში დაყენებას არჩილ არველაძის თამაში არჩიეს.

სამაგიეროდ, იტალიელებს შეექმნათ მეტი პრობლემა. პირველის გადაჭრა ჯოვანი ტრაპატონის არ გასჭირვებია. იტალიელებს მაღალი ტემპერატურის გამო გამოაკლდათ „იუვენტუსის“ თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი. ტრაპატონიმ ინძაგი თანაკლუბელი დელ პიეროთი შეცვალა და ძირითადი თავდამსხმელის არყოფნა აპენინელებს მაინც და მაინც არ დასტყობიათ.

აი, გუშინ დილით მიღებული პაოლო მალდინის კოჭის ტრავმა კი მოულოდნელთან ერთად უფრო ძნელად გასამკლავებელი იყო. იტალიელთა თავკაცმა ნაკრებში ნათამაშევი მატჩებით ახლა უკვე იტალიის უდავო რეკორდსმენი (113 მატჩი) მალდინი ბერტოტოთი შეცვალა და მანაც მეტ-ნაკლებად გაამართლა — იტალიას გოლი არ გაუშვია.

REUTERS ანკონადან

ალესანდრო დელ პიერომ დავით გვარამაძეს ორი პენალტი გაუტანა და დაუყვავა კიდეც

იტალია

1. ტოლდო

5. კანავარო 6. ნესტა 3. ბერტოტო

4. ალბერტინი

7. დი ლივიო 8. ფიორე 2. კოკო

10. ტოტი

11. დელ პიერო 9. დელვეკიო

საქართველო

11. არველაძე 10. ქინქლაძე

8. ყაველაშვილი 7. ნემსაძე 9. ქეცბაია

4. რეხვიაშვილი

3. კობიაშვილი 6. კალაძე 5. ხიზანიშვილი

2. სილაგაძე

1. გვარამაძე

შეცვლა: დელვეკიო — 17. გატუზო (52), ქინქლაძე — 14. ჯამარაული (61), ა. არველაძე — 16. დემეტრაძე (61), ქეცბაია — 15. მენთეშაშვილი (68), ფიორე — 14. პანკარო (76), ტოტი — 18. მონტელა (83)

გაფრთხილება: ბერტოტო (35), ტოტი (75)

მსაჯები: კ. ნილსონი, ლ. ლინდბერგი, ს. ვიტბერგი; ს. იოჰანსონი (ყველა შვედეთი)

ჯარიმა: 24-15; კუთხური: 6-7; კარისკენ დარტყმა: 1-5; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 1-0

გუშინწინდელმა იტალიურმა გაზეთებმა მანამდელზე ბევრად მეტი ადგილი დაუთმეს საქართველოს ნაკრებს, თუმცა ზოგიერთ აქაურ გამოცემაში მეტოქე გუნდის ჩამოსვლაზე დაბეჭდილი ცნობა უბრალო ნეკროლოგის ზომისას არ გასცილებია.

თავად განსაჯეთ, გვაქვს თუ არა სანეკროლოგოდ საქმე, მაგრამ რომც წავაგოთ, ტრაგედია ეს მაინც არ იქნებაო, თავიდანვე ასე თვლიდა ქართველთა ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი, რომელიც აქაურ ჟურნალისტებს ესაუბრა.

— არ გეშინიათ, რომ ტექნიკურ იტალიურ ფეხბურთს წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ — ჰკითხეს ძოძუაშვილს.

— იტალიური ფეხბურთი მხოლოდ ტექნიკური კი არა, საფეხბურთო მოდის ფუძემდებელია და ეს არამარტო ბოლო წლებში, არამედ დიდი ხნის მანძილზე. აქ თვით ბრაზილიის ნაკრებს წაუგია და აბა, ჩვენზე სასაყვედურო ენა ვის მოუბრუნდება — უპასუხა ძოძუაშვილმა.

რამდენადაც ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ საქართველოს ნაკრებს იტალიური გაზეთები, იმდენად მეტს — კახა კალაძეს.

„ტუტოსპორტმა“ სულაც ნახევარგვერდიანი წერილი დაბეჭდა კახა კალაძეზე მისივე ხელმოწერით დამშვენებული. იტალიელებმა რატომღაც რუსულადაც დააწერინეს კახას „ია ხოჩუ ივრატ ვ მილანე“.

გადავა თუ არა კალაძე „მილანში“? იტალიური პრესა ასეთ კითხვას აღარ სვამს. ახლა ამასღა კითხულობენ, იქნება კალაძე ახალი ბარეზი? ბარეზიმდე ჯერ ბარემ ბევრი უკლია, მაგრამ „მილანამდე“, ისე ჩანს, მანძილი სულ უფრო მცირდება.

კალაძემ გუშინაც ისევე ჩინებულად ითამაშა, როგორც ამას საერთოდ ახერხებს. მაგრამ დაცვაში არანაკლებ კარგად გაისარჯნენ ლიბეროდ გამწესებული სილაგაძე და მარჯვენა მცველი ხიზანიშვილი.

წინახაზელთაგან განსაკუთრებით არჩილ არველაძე, თემურ ქეცბაია და ორი საგოლე შანსის მქონე გიორგი ნემსაძე გამოირჩნენ. თუ პირველ ეპიზოდში 0:0-ზე ნემსაძე რთული პოზიციიდან ურტყამდა, 2-0-ზე გატანა აშკარად მართებდა.

ქართველებმა პირველ ტაიმში გონივრულად და ძლიერად ითამაშეს. თუმცა ეს მათი დღევანდელი შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო. ჩვენებურთა შემადგენლობის ნახევარი ხომ ნახევარი ფეხბურთელია: მეტის თამაში არ შეუძლია ახალნაოპერაციევ ქინქლაძეს, აღარ შეუძლია მობერებულ ქეცბაიას და კონკრეტულ შემთხვევაში არ შეეძლოთ მიკროტრავმებიან დემეტრაძეს და ჯამარაულს.

გოლის შემდეგ, მეორე ტაიმში იტალიელთა უპირატესობა უკვე აშკარა გახდა და სადავო აღარ გამოჩნდა ის, რომ იტალიელთა შემადგენლობა ჩვენსას ბევრად სჯობს. ასეთ შემთხვევაში კი ქართველ მწვრთნელთა თუნდაც გონივრული ნაფიქრი წყალში გადაიყარა.

საქართველო დაუმარცხებელი ეწვია იტალიას, მაგრამ ვერ მოახერხა წაუგებელსვე დაეტოვებინა აპენინები. საქართველომ ლიტვა, საქართველო იტალიამ დაჩაგრა. ასეთია ჯერჯერობით ჩვენი როლი საფეხბურთო სამყაროში, რასაც ორი საკმაოდ სიმპათიური თამაშის მიუხედავად პროგრესი (მნიშვნელოვანი) ვერ დაერქმევა.

VIII ჯგუფი	1	2	3	4	5	მ	ფ	წ	ბ	ქ
იტალია			2:0	3:0		2	1	0	7:2	7
უნგრეთი	2:2					1	1	0	8:3	4
საქართველო						1	0	1	4:2	3
რუმინეთი					1:0	1	0	1	1:3	3
ლიტვა		1:6	0:4			0	0	3	1:11	0

მატჩის სტენოგრამა

4 წთ. ქეცბაიამ საჯარიმოდან ბურთი ტოლდოს კარს აუცილა.

8. ს ტეფანე ფიორემ ბურთი ანაცვალა ჯარიმიდან, მერე გადასცა და დელვეკიოს, რომლის დარტყმული გვარამაძემ აიღო.

10. არჩილ არველაძის გარღვევა ჯარიმით დამთავრდა, კობიაშვილის დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა.

12. ჩვენებმა კუთხური გაითამაშეს. ქინქლაძემ ბურთი ნემსაძეს მიაწოდა, კაპიტნის დარტყმული ტოლდომ აკრობატულ ნახტომში მოიგერია.

13. ქეცბაია-ნემსაძის წამოწყებული კომბინაცია არჩილ არველაძემ ძლიერი დარტყმით დააბოლოვა, ბურთი კარის ბადეს გარედან მოხვდა.

18. ჩვენი მცველების შეცდომის შემდეგ დელ პიერომ გვარამაძეს ძლიერად დაურტყა. მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და მეორე ნახტომითღა დაიმორჩილა.

19. ქეცბაია-ქინქლაძემ კედელი გაითამაშეს, თემური იტალიელთა საჯარიმოში შევარდა, მისი დარტყმული ტოლდომ უკუაგდო.

22. ფრანჩესკო ტოტის დარტყმული გვარამაძემ სახიფათოდ მოიგერია, მაგრამ სილაგაძემ ვარდნაში ხიფათი აიცილა.

25. ფიორეს საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ მდგომარეობა ისევ სილაგაძემ განმუხტა.

26. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ფრანჩესკო კოკომ თავი შეაგება. გოლისგან ძელთან მდგარმა კობიაშვილმა გვიხსნა.

28. რეხვიაშვილმა მეტოქის კარს ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი მიუვიდა არჩილ არველაძეს, რომელმაც ყაველაშვილი დატოვა ხელსაყრელ პოზიციაში, მიშმა საბოლოო დარტყმა გააცუდა.

29. დელ ვეკიოს თავურს გვარამაძე ფხიზლად დახვდა.

37. სახიფათო ჯარიმიდან ქინქლაძემ ბურთი კარს ააცილა.

38. დი ლივიოს სახიფათოდ ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოდან ბურთი კალაძემ გამოიტანა.

41. იტალიელთა გადაცემა ხიზანიშვილს საკუთარი კარისკენ აეჭრა, მაგრამ წინ გამოსულმა გვარამაძემ ბურთის დაჭერა მაინც მოახერხა.

46. რეხვიაშვილთან ბრძოლაში ფრანჩესკო ტოტი საჯარიმოში ნაიქცა. დელ პიერომ ანგარიში პენალტით გახსნა — 1:0.

53. გატუზომ შორიდან დარტყმული კარს დიდი მანძილით ააცილა.

65. ქართველ მცველთა შეცდომისა და კოკოს სახიფათო გარღვევის შემდეგ კალაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

66. კუთხურისას გვარამაძე გამოსვლაზე შეცდა, ტოტისთან საპაერო ორთაბრძოლა წააგო, მაგრამ ბურთთან გაჩენილმა კოკომ კარს ააცილა.

70. ალბერტინის სახიფათო საჯარიმოდან ბურთი ცოცხალმა კედელმა უკუაგდო, დამატებული კი კარს აცდა.

72. ჯამარაულმა ყაველაშვილს კედელი გაუთამაშა, ძლიერადაც დარტყა, მაგრამ ააცილა.

75. ალბერტინის შორეული დარტყმა გვარამაძის კარს აცდა.

78. არბიტრს ფეხი ეტკინა და დახმარება იტალიელმა ექიმებმა აღმოუჩინეს.

81. ჯარიმა დემეტრაძემ ჯამარაულს გაუთამაშა. გოჩამ შორიდან ძლიერად და ზუსტად დაურტყა ტოლდოს. იტალიელთა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, იქვე აღმოჩენილმა ყაველაშვილმა კარში დარტყმას ბურთის დამუშავება, მცველის მოტყუება და პასი არჩია. სიგალაძის სუსტად დარტყმული კი ტოლდოს იოლი ლუკმა შეჭამა.

86. დელ პიერომ მონტელას კედელი გაუთამაშა, ჩვენების საჯარიმოში შეჭრილმა გვარამაძე მოატყუა და... გაზონზე გაიშხლართა. მსაჯმა პენალტი დანიშნა, დელ პიერომ კი ანგარიში გაზარდა — 2:0.

90. ნემსაძემ დემეტრაძეს გადაანოდა ბურთი, მისგან მიღებულს საჯარიმოში შეჰყვა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ტოლდოს ისევ ვერ აჯობა.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

იტალია 3:2 საქართველო

10 ოქტომბერი. ფერმო. „სტადიო კომუნალე ბრუნო რეკიონი“.
23.45. 7 500 მაყურებელი

1:0 პინარდი (11), 2:0 კასანო (25), 3:0 მარესკა (37), 3:1 წერეთელი (82პ), 3:2 მელქაძე (90)

უწესო თამაში

რა უხარიათ ტარდელის და ხურცილავას

ვახტანგ ჯხიკაძე
ფერმოდან

კასანომ ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)
იტალია: ჯ. როსი, ტროსინ, მორა (ბელინი 67), ოლივე, ფერარი, კორენტი (ბრიგი 51), მარკიონი, პინარდი, კასანო (მაკორნე 54), მარესკა, კოლომბო
საქართველო: ლომაია, ქემოკლიძე, სოჯაია, წერეთელი, გილაური (დვალიძე 52), შაშიაშვილი, ყარაგეზელი, ასათიანი (იმედაძე 40), ლ. გვახუა (დიმიტროვი 64), ნიტაიშვილი, ლ. მელქაძე
გაფრთხილება: წერეთელი (5), კორენტი (14), ყარაგეზელი (64), დვალიძე (75)
მაყურებელი: ლ. ლიკუკა ა ხრისტოდოლუ ლ. კირიაკუ ა. გეორგიუ (ყველა კიპროსი)
ჯარიმა: 19-24; **კუთხური:** 4-2; **კარისკენ დარტყმა:** 5-2; **კარში დარტყმა:** 5-2; **თამაშგარე:** 0-0

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლუჩანო ნიკოლა, ანენინელთა ნაკრების ექსმწვრთნელი ჩეზარე მალდინი, ოქროს ბურთის მფლობელი ლუის სუარესი, მურთაზ ხურცილავა და მარკო ტარდელი — დიდებული კომპანიაა. ყველანი ერთ სტადიონზე, იტალიის პროვინციულ ქალაქ ფერმოში — პირველი სამი ტრიბუნაზე და ორიც ქვემოთ, მოედანთან ახლოს, სათადარიგოთა სკამზე.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, როგორც ტარდელი არ დამჯდარა მთელი თამაში, ისე ხურცილავა არ წამომდგარა არცერთხელ. გასაგებია, რომ ქართველთა მწვრთნელს, რომლის გუნდიც პირველ ტაიმს 0:3 აგებდა, სათქმელი არც არაფერი ჰქონდა, მაგრამ სწორედ 0:3-ზე იყო ერთი ეპიზოდი, როცა სტუმრებს ელემენტარული კომბინაციით გატანა თუ არა, კარში დარტყმა მაინც შეეძლოთ. ხურცილავა კი დუმდა.

ახლახან მილანის „ინტერის“ მწვრთნელად დანიშნული მარკო ტარდელის ბიჭებმა სველ მინდორზე ჰოკეისტებივით ისრიალეს და მხოლოდ 3:0-ის მერედა მოაკლდა მათ შეტევებს სიმწკვავე.

ტარდელიმ ახალგაზრდული 30-ედ თამაშა: 20 მოიგო, 7 ფრე და მხოლოდ სამი მარცხი (ერთხელ ოლიმპიადაზე, ორჯერ ამხანაგურში).

მურთაზ ხურცილავას გუნდს ერთი თვის წინ ამის სანახევრო წაუგებელი სერია მაინც ჰქონდა, რომელიც ახლა ზედიზედ სამ მატჩში წაგებით შეიცვალა — 1:6 ინგლისში, 1:2 ლიტვაში, 2:3 იტალიაში.

მატჩის ბოლოს გატანილმა ორმა ქართულმა გოლმა ანგარიში გაალამაზა, თორემ შვიდი ათასზე მეტი იტალიელის გაუჩერებელი და გამაყრუებელი ქომაგობით ბრინჯივით დაბნეული სტუმრები კარგახანს გონზე ვერ იყვნენ.

იტალიელთაგან განსაკუთრებით ენცო მარესკა გამოირჩეოდა. თავდამსხმელების უკან გამწესებული „იუვენტუსის“ ნახევარმცველს ბურთის ფლობაში, მოედნის ხედვაში, დარტყმასა თუ გადაცემებში ბადალი არ ჰყავდა.

აქაურმა მედიამ სტუმართაგან საუკეთესოდ პენალტის ორჯერ მომგერიებელი გიორგი ლომაია აღიარა. ზოგმა გაზეთმა ლომაიას დარი მაღალი შეფასება მისცა ლევან მელქაძის თამაშს. 18 წლის მელქაძე მართლაც გამოსარჩევია. ის ერთი იმათგანია, ვინც შაულიაისა თუ ფერმოში ყურები არ ჩამოყარა და სხვაობის შემცირებას ორივეგან ნაყოფიერად ეცადა.

ხურცილავამ ლიტვასთან ნათამაშევი შემადგენლობა ნებსით თუ უნებლიედ მნიშვნელოვნად შეცვალა. შაულიაიში პრესკონფერენციაზე მოსულმა მისმა თანაშემწემ სერგო კუტივაძემ მწვრთნელთა სახელით განაცხადა, შემადგენლობის შერჩევისას შევცდითო. თუკი ლიტვასთან შეცდნენ, გაუგებარია, რა შეემთხვათ იტალიასთან. წინა მატჩში გაძევებული ხიზანეიშვილის ნაცვლად შაშიაშვილის თამაშმა თუ მეტ-ნაკლებად კიდევ გაამართლა, კრიტიკას ვერ გაუძლო იმედაძის და დვალიძის ასათიანით და გილაურით ჩანაცვლებამ.

ქართველთა დაცვა, ქემოკლიძის და წერეთლის გამოკლებით, აბსოლუტურად უსუსური იყო და ბურთის მოგერიებას კი არა, დანახვას ვერ ასწრებდა. ნახევარდაცვის აქტივში კი კვარაცხელიას რამდენიმე ჩაჭრა-ართმევა და ერთმანეთზე გადაბმული ორიოდ პასი თუა.

ახლა იმ ეპიზოდზეც ვთქვათ, როცა ხურცილავას ხმის ჩახლეჩამდე ყვირილი მართებდა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგია. პირველი ტაიმის ბოლოს, როცა ჩვენები უკვე 0:3 აგებდნენ, ქართველთა შეტევის მარჯვენა ფრთაზე საჯარიმო დარტყმა დაინიშნა. ყველანი შორეული ძელის სიახლოვეს შეეუჭდნენ და ჩაწოდებას დაელოდნენ, აქვსენტი გილაური კი შუა გზაზე, უხელსაყრელეს პოზიციაში მანამდე იდგა, ვიდრე გვაზავამ პასს მაინც ჩაწოდება არ ამჯობინა და გოლის გატანის თუ არა, კარში დარტყმის ეს შესანიშნავი შესაძლებლობა ქარს გაატანა.

გილაურმა რომ ბურთი ვერ მოითხოვა, გასაკვირი არაა — აქვსენტი დებიუტანტის კვალობაზეც კი მეტად მორიდებული ბიჭია და მისი ხმა, ერთი კვირის მანძილზე ერთადერთხელ, მაშინ გავიგე, როცა ლიტვის ვიზის მისაღები დეკლარაციის შევსებისას დახმარება მთხოვა. მაგრამ სკამიდან მაინც რატომ არ დაუყვირეს გვაზავას, რომ ჩაწოდებას პასი სჯობდა, გაუგებარია.

აქვსენტი გილაურის საერთაშორისო დებიუტი გუშინწინ იტალიასთან შედგა. თბილისის „ლოკომოტივის“ მარჯვენაფლანგელს ბრატისლავის „სლოვანთანაც“ კი არ უთამაშია და გასაკვირი ფერმოში ჩავარდნა კი არა (ამისთვის მწვრთნელთაგან თავიდანვე იყო განწირული), ისაა, ასეთ უმძიმეს გამოცდას რომ გაუძლო — ბურთს მეტოქისკენ ურტყამდა და არა საკუთარ კარში.

ამ დროს კი თადარიგში იყო შაულიაიში ქართველთაგან უდავოდ საუკეთესო იოსებ დვალიძე, რომელსაც ლიტვასთან თამაშის შემდეგ მწვრთნელები იმაზე გაუწყრნენ, ბოლო წუთებზე აუტის მოწოდება რატომ შეგეშალაო. აუტი აუტია და ბურთის თამაშში შეყვანისას მარტო ხაზსგარეთ მუხლგამართული დგომა და შორს სროლის ცოდნა არ კმარა. იმისთვის, რომ ეს კარგად გააკეთო, თანაგუნდელიც კარგად უნდა გაგეხსნას და ამის გაკეთებაც ხშირად მოთამაშეზე უფრო მწვრთნელის მიერ არჩეულ-დასახულ ტაქტიკაზე ჰკიდია.

მაგრამ ერთია აუტის ვერმოწოდება და მეორე — ელემენტარული წესების არცოდნა. შაულიაიში ტრავმის გამო მოედნიდან გასული ოთარ ხიზანეიშვილი თამაშს მსაჯთა უნებართვოდ დაუბრუნდა და ეს იმ პირველ გაფრთხილებად დაუჯდა, რომელსაც მეორე, უკვე სათამაშო სიტუაციაში მიღებული ყვითელი ბარათი მოჰყვა. ეს კი გაძევებად და იტალიასთან მატჩის გამოტოვებად დაუჯდა.

შაულიაიშივე შესვენებისას იმედაძის შემცვლელი მალხაზ ასათიანი ისე აპირებდა თამაშში ჩართვას, რომ ქართველი მწვრთნელები ამის მსაჯისთვის შეტყობინებას (კარგა ხანია, საამისოდ საგანგებო საშვი ივსება) არც აპირებდნენ. იგივე ასათიანი ფერმოში კასანოს პენალტისას ცხრამეტრიან რკალში იდგა და ამის გამო განმეორებითი დარტყმის დანიშვნის მიუხედავად, იქიდან გასვლა არც თავად უფიქრია და არც ვინმეს შეუხსენებია.

მურთაზ ხურცილავა ჯერ კიდევ თვითმფრინავში, გზად ვილნიუსიდან ანკონისკენ ჩიოდა — ინგლისელებს ჰყავთ ათი ექიმი და მასაჟისტი, ჩვენ კი თითო-თითო, რაზეა ლაპარაკიო. ამაზე პასუხი ძალიან იოლი იქნებოდა, დემაგოგიასთან ბრძოლა ისევე ძნელი რომ არ იყოს, როგორიც უმეცრებასთან. თუმცა ერთის თქმა მაინც შეიძლება — ფეხბურთში ყველაფერი ხდება. ზოგჯერ ათ ექიმს ერთი უკეთესი სჯობს, ისევე როგორც მთელს სამწვრთნელო შტაბს — ერთი მწვრთნელი.

მატჩის შემდეგ

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არ გამართულა, მაგრამ მურთაზ ხურცილავას განწყობა ლამის ისეთივე იყო, როგორიც მისი კოლეგა მარკო ტარდელისა. ტარდელი მოგებით იყო კმაყოფილი, ანგარიშით კი, ცხადია, არა. ხურცილავა კი მხოლოდ მინიმალურმა მარცხმა დააკმაყოფილა და არა შედეგმა.

მატჩის სტენოგრამა

მე-9 წუთი. მარკო მარკიონის მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთზე ანტონიო კასანომ აქვსენტი გილაურს დაასწრო და ლომაიას კარს მაკრატელათი ააცილა.

11. კასანომ ბურთი ალექს პინარდის დაუგორა და ამან გიორგი ლომაია გააშეშა — 1:0.
12. იტალიელმა ტიფოზებმა ლომაიას კარს უკან ჩირაღდნები დაანთეს და კვამლის გაფანტვამდე არბიტრმა ერთ წუთს გააჩერა თამაში.
23. კორადო კოლომბომ მამუკა წერეთელს პენალტი აჰკიდა, რომლის მოგერიება გიორგი ლომაიას ორჯერ მოუხდა. პირველად მოგერიებული თერთმეტმეტრიანის შემდეგ არბიტრმა იტალიელებს განმეორებით დაარტყმევინა, რადგან მალხაზ ასათიანმა საჯარიმოში ადრე შეირბინა.
25. ლომაიამ ანტონიო კასანოს განმეორებითი პენალტიც მოიგერია, მაგრამ კართან ყველაზე ახლოს მყოფმა იტალიელმა დამატებისას ყველას დაასწრო — 2:0.
32. სახიფათო საჯარიმო დარტყმისას შორეულ ძელთან მდგომ მარკიონის მალხაზ ასათიანმა დაასწრო და ბურთი თავურით კუთხურზე მოიგერია.
35. მარკიონის დარტყმული ხარიხიდან ხაზსგარეთ დავარდა, მერე კი კასანოს ქემოკლიძემ მოუგო საჰაერო დუელი და საჯარიმოდან ბურთი შაშიაშვილმა გამოიტანა.
37. ენცო მარესკას ქართველმა მცველებმა ბურთი ვერ წაართვეს და მანაც შორიდანვე დარტყმული გაუტანა გიორგი ლომაიას — 3:0
55. კოლომბოს დარტყმული ლომაიამ კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია, იქიდან ჩაწოდებულზე კი პინარდის დარტყმულ ბურთს გადაეღობა.
67. ქართველები პირველად დაემუქრნენ იტალიელთა კარს: საჯარიმოდან წიტაიშვილის დარტყმულმა ბურთმა მარცხენა ძელის სიახლოვეს ჩაიქროლა.
74. ქართველებმა პირველი კუთხური უნაყოფოდ ჩააწოდეს.
82. გიორგი იმედაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მამუკა წერეთელმა გამოცნობილ კუთხეში გაუტანა ჯენეროსო როსის — 3:1.
90. დიმელაშვილის კუთხურიდან ლევან მელქაძემ თავით გაიტანა — 3:2.

გიორგი ლომაიას გარჯა ფუჭად დარჩა: ორი მოგერიებული პენალტი მაინც გოლად ექცა

I ჯგუფი

სლოვენია 0:0 შვეიცარია
რუსეთი 2:0 ლუქსემბურგი

1:0 გოგნიეი (49), 2:0 ბოსტროკი (77)

სლოვენია						
შვეიცარია	2	1	1	0	3:1	4
იუგოსლავია	1	1	0	0	3:0	3
რუსეთი	2	1	0	1	3:3	3
ლუქსემბურგი	3	0	0	3	1:10	0

II ჯგუფი

ჰოლანდია 1:1 პორტუგალია
1:0 იანსენი (16), 1:1 დელ კოშტა (37)

ირლანდია 1:0 ესტონეთი
1:0 ბ. ტუნინი (67პ)

პორტუგალია	3	2	1	0	7:3	7
ჰოლანდია	3	2	1	0	4:1	7
ირლანდია	3	1	0	2	2:5	3
კვიპროსი	1	0	0	1	0:1	0
ესტონეთი	2	0	0	2	1:4	0

III ჯგუფი

მალტა 0:1 ჩეხეთი
0:1 ბაროში (58)

დანია 2:2 ბულგარეთი
1:0 ბოეგელუნდი (31), 1:1 რუსევი (48), 2:1 ალბრეხტსენი (75), 2:2 საკალიევი (89)
გაძევება: რუმანოვი (75, ბულგარეთი)

ისლანდია 2:5 ჩრდ. ირლანდია
0:1, 0:2 ჰამილტონი (7, 11), 0:3, 0:4 ჰარკინი (32, 62), 1:4 გუნარსონი (83), 1:5 მაკკინი (88), 2:5 გუდიონსონი (90)

ბულგარეთი	3	2	1	0	5:2	7
ჩრდ. ირლანდია	3	2	0	1	8:5	6
ჩეხეთი	3	2	0	1	3:2	6
დანია	3	1	2	0	5:2	5
ისლანდია	3	0	1	2	3:7	1
მალტა	3	0	0	3	0:6	0

IV ჯგუფი

აზერბაიჯანი 1:2 თურქეთი
0:1 გოიქთანი (43), 1:1 ალიევი (74), 1:2 ჯიანანი (84)

მოლდოვა 3:0 მაკედონია
1:0 დრუჩე (47), 2:0, 3:0 ბუგნიაკი (67, 80)

სლოვაკეთი 1:1 შვედეთი
0:1 დორსინი (53), 1:1 სედლაკი (63)

სლოვაკეთი	3	2	1	0	6:1	7
თურქეთი	3	2	1	0	3:1	7
შვედეთი	3	1	2	0	6:1	5
მოლდოვა	3	1	0	2	3:4	3
აზერბაიჯანი	3	1	0	2	3:8	3
მაკედონია	3	0	0	3	1:7	0

V ჯგუფი

ბელარუსი 5:0 სომხეთი
1:0 ლოშანკოვი (5), 2:0 ლედვინოვი (20), 3:0 კუტუზოვი (22), 4:0 ლედვინოვი (29), 5:0 ბულიგა (63)

ნორვეგია 3:1 უკრაინა
0:1 ბიელიკი (22), 1:1 რასტადი (26), 2:1 კარადასი (51), 3:1 ჰოფი (90)
გაძევება: ბასინსკიჩენკო (41, უკრაინა)

პოლონეთი 2:1 უელსი
0:1 ტომასი (15), 1:1 ბლეიკლი (67), 2:1 რასიაკი (90)

ბელარუსი	3	3	0	0	13:1	9
ნორვეგია	3	3	0	0	10:2	9
უკრაინა	3	1	1	1	5:6	4
პოლონეთი	3	1	1	1	4:7	4
უელსი	3	0	0	3	2:8	0
სომხეთი	3	0	0	3	2:12	0

VI ჯგუფი

ხორვატია 3:1 შოტლანდია
0:1 ნოტმენი (36ა), 1:1 მიკიჩი (39), 2:1 ოლიჩი (67), 3:1 მიკიჩი (89)

ბელგია	2	2	0	0	4:1	6
ხორვატია	2	1	0	1	4:3	3
შოტლანდია	2	1	0	1	4:4	3
ლატვია	2	0	0	2	1:5	0

VII ჯგუფი

ავსტრია 2:1 ესპანეთი
0:1 პაბლო გონსალესი (8), 1:1, 2:1 ლინდი (38პ, 50)
გაძევება: ბრანდმაიერი (71, ავსტრია)

ისრაელი 2:1 ბოსნია
1:0 ზვიტი (25), 2:0 დაგო (66), 2:1 ზილიჩი (88)

საფრანგეთი	2	2	0	0	5:1	6
ესპანეთი	3	2	0	1	4:2	6
ავსტრია	2	1	0	1	3:3	3
ისრაელი	3	1	0	2	2:5	3
ბოსნია	2	0	0	2	1:4	0

VIII ჯგუფი

ლიტვა 0:1 უნგრეთი
0:1 გარა (55)

იტალია 3:2 საქართველო

იტალია	3	2	1	0	7:3	7
რუმინეთი	2	1	1	0	4:1	4
უნგრეთი	2	1	0	1	1:3	3
ლიტვა	3	1	0	2	2:5	3
საქართველო	2	0	0	2	3:5	0

IX ჯგუფი

ფინეთი 2:2 ინგლისი
1:0 სიოლუნდი (15), 1:1 დანი (31), 1:2 ა. სმიტი (48), 2:2 სიოლუნდი (76)

ალბანეთი 0:1 საბერძნეთი
0:1 ვაკუფცისი (90)

საბერძნეთი	3	2	0	1	5:3	6
ფინეთი	3	1	1	1	6:5	4
გერმანია	2	1	1	0	3:2	4
ინგლისი	2	0	2	0	3:3	2
ალბანეთი	2	0	0	2	0:4	0

იციან, ხვდებიან, ვერას ხდებიან

ალგიმანდს იაკუბაშვილის ფოტო

6 ოქტომბრის ლიტვა — საქართველო 2:1.
ქართველი მცველები ლიტველ თავდამსხმელებს ხშირად მოაცილებდნენ საკუთარი კარისკენ

ეს იყო ლიტვაში... „სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ პირველი ტაიმი მწვრთნელებმა წავაგეთ. შევცდით, როგორც ტაქტიკის, ისე შემადგენლობის არჩევაში" — სერგო კუტივაძემ შაულიაიში კაპიტულაცია გამოაცხადა.

მსგავსი პირველად როდი მოგვისმენია, ჩვენს მწვრთნელებს ადრეც ულიარებიათ შეცდომები, მაგრამ დასასრული ხომ უნდა ჰქონდეს ყველაფერს. ერთხელ, თამაშამდე ხომ უნდა აირჩიონ სწორი გზა, ზუსტად გამოიცნონ შემადგენლობა და ასე შემდეგ.

ახლა ყველაფერი გაცილებით ადვილია. ანგარიში ვიცით, თამაშიც ვნახეთ და შეცდომებიც თვალნათელია. ურემი გადაბრუნდა და გზაც გამოჩნდა. თითხმეტმატჩიანი წაუგებელი სერია, რითაც თავს ასე იწონებდნენ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცები, სინამდვილეში არაფრად გამოგვადგა. ზედიზედ სამი წაგებული მატჩი, ბურთების შეფარდება 4:11-თან სრული კრახის მაჩვენებელია.

საბედნიეროდ, არ გვინახავს ინგლისი-საქართველოს ამხანაგური მატჩი. ვიცით, რაც მოხდა ლიტვაში და სამწუხაროდ, ვუყურეთ იტალიელი და ქართველი ახალგაზრდების თამაშს.

მწვრთნელებმა იციან, სად შეცდნენ, ახლა ხვდებიან, როგორ უნდა ეთამაშებინათ გუნდი, მაგრამ... მერე ისევ თავიდან იწყება ყველაფერი.

როგორც ახალგაზრდული ნაკრების თავკაცებმა თქვეს, მათ წვრთნისა და გუნდის მომზადების თავიანთი მეთოდი გააჩნიათ. არასდროს არ გაგვივლია გულში, მწვრთნელთა კომპეტენციაში ჩავრეულიყავით. არც როდესმე გვიკადრებია ეს, მაგრამ შიგადაშიგ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მნახველმა მწვრთნელმა, ჟურნალისტმა, თუ უბრალოდ ქომაგმა უნდა იცოდეს, რომ ლევან მელქაძის ნახევარდაცვის ფლანგზე გამწესება მეტად წამგებიანია. მელქაძე მეტოქის კარის წინ რომ ტრიალებდეს, გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანდა გუნდს.

ედიკ საჯაიას, თუ დაავალებ, დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, მაგრამ მისი ადგილი მარჯვენა ფრთაზეა და შესაძლებლობების მაქსიმუმსაც იქ გამოავლენს.

ნაკრების მწვრთნელმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ლევან გვაზავა გამთამაშებლად არ გამოდგება და ნახევარდაცვაში სხვა პოზიცია უნდა შეურჩიოს.

არასწორია აქვსენტი გილაურის შუა და უკანა ხაზებს შორის გახიდვა. გუშინწინ ლოკომოტიველი დაცვასაც მოაკლდა და ნახევარდაცვაშიც არ იყო.

შეცდომაა ლიტვასთან სამი მცველით და სხვადასხვა ამპლუის შვიდი თავდამსხმელით თამაში. დაუშვებელია იტალიასთან ნახევარდაცვის გარეშე ბურთობა.

ისიც გაუგებარია, რისთვის წაიყვანეს ლიტვა-იტალიაში ლაშა ნოზაძე. ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია, ორი ტაიმი ირბინოს და დაღლა არ დაეტყოს.

ორი ლიტველი უტევდა საქართველოს შაულიაიში და ორი გოლი გაუშვა ახალგაზრდულმა გუნდმა. ოთხი იტალიელი დანავარდობდა ჩვენებურ მცველთა შორის ფერმოს სტადიონის გაზონზე და სამი გაგვიტანეს, ხოლო რამდენჯერმე დაგვინდეს.

კიდევ კარგი, მარკო ტარდელის ბიჭები ჯერაც არ არიან ნამდვილი პროფესიონალები, თორემ არეცო სანატრელი გახდებოდა. ნახევარ ტაიმში მოუთავეს საქართველოს ხელი, მერე მოეშვნენ, ცოტა გადაჭარბეს კიდეც. ორიოდ ეპიზოდში ზომაზე მეტად იანგლეს.

ახალგაზრდულმა სიანცემ სძლიათ.

სამაგიეროდ, ჩვენმა მწვრთნელებმა ორიოდე მატჩის მერე-ტაიმები მოიგეს 10 ლიტვასთან და 20 იტალიასთან. სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ რომელიმე თამაშიდან ერთი ქულა მაინც გამოგვერჩინა.

გასულ შესარჩევში, მერეც ჩვენს მწვრთნელებს ის ეამაყებოდათ, ორი-სამი წლით უმცროსებმა გაცილებით ასაკოვან ნორვეგიელ, ბერძენ და სლოვენიელ ფეხბურთელებს არაფერი დაუთმესო. იქნებ მაშინ მთლად ასე არ იყო საქმე, იქნებ ჩვენები იყვნენ ორი-სამი წლით უფროსები?!

„-ლიტვის ნაკრები ძალიან მოგვეწონა, განსაკუთრებით კი სწრაფი თამაშისადმი უდიდესი მიდრეკილება". ამ სიტყვებმაც შაულიაიში გაიელვა.

კი მაგრამ, ჩვენები რატომ ვერ თამაშობენ სწრაფად?! მათი დაბალი სიჩქარე განსაკუთრებით გუშინწინ, ფერმოში გამოჩნდა. საქართველოს ნაკრების მოთამაშეები, მეტოქესთან შედარებით, ყველაფერს ერთი წამით გვიან აკეთებდნენ. არა, უფრო მართლები ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ცდილობდნენ, გაეკეთებინათ.

ყველაფრისგან გამომდინარე, საბოლოოდ ერთი კითხვით მივმართავთ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცებს — ხომ არ დაძველდა წვრთნისა და გუნდის მომზადების თქვენეული მეთოდები? ანაც იცნობთ თუ არა ნაკრების წევრებისა და კანდიდატების შესაძლებლობებს?

თუ ახალგაზრდული გუნდის ნაჩვენებ შედეგს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ობიექტური პასუხი უარყოფითი უნდა იყოს.

მამუკა კვანტალიანი

იტალიაში დრო მიდის, საქართველოში მიიზლაზნება

ბიჭები, ნიჭები... გადავხედე, გადავთვალე და გულიც მომიკვდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიელ თანატოლებს გუშინწინ მესამედ ეთამაშა. ალბათ იცით, ქართველებმა ერთხელ, 1997 წელს მოიგეს რუსთავში, გასულ სამშაბათს და ოთხი წლის წინ კი წააგეს. უწინ 0:6, ახლა 2:3. ისიც სათქმელია, რომ ამჟამინდელი ნაკრებისგან მინიმალური სხვაობით წაგება ცოტა გასაკვირიც იყო, თუმც ვინც მატჩი იხილა, დაგვეთანხმება, 2:3 მხოლოდ დაფიქსირდა, სხვა მხრივ კი, უფრო სწორად, თამაში ამ ანგარიშს ნამდვილად არ შეესაბამებოდა, ჩვენებურთა შემხედვარეს გული მოგიკვდებოდა, იმდენად ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს.

უარესი გახლდათ 1996 წელს არეცოში — 0:6 სამარცხვინო წაგება. გუნება რუსთავის მატჩმა გამოგვიკეთა, როცა ქართველებმა 2:0 სძლიეს იტალიელებს.

ახლა კი ის ვთქვათ, რისთვისაც ეს წერილი იწერება.

გავიხსენოთ შემადგენლობები, რომლებითაც გუშინწინდელი მეტოქეები ადრე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ერთი-ორი სიტყვით ვთქვათ, ეს ფეხბურთელები დღეს რას წარმოადგენენ, ვინ სად თამაშობს და მერე სხვაობაზე თავად დაფიქრდით.

ის ბიჭები, ოთხი წლის წინ 21 წლისანი ან უფრო უმცროსები რომ იყვნენ და ქართველები 6:0 გაანადგურეს, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ლიგის სახელოვან კლუბებში თამაშობენ და ზოგიერთი ეროვნულ გუნდშიც არის მიწვეული:

ბუფონი „პარმასა" და იტალიის ნაკრებს მეკარეა. კოკო და ამბროზინი „მილანისა" და ნაკრების ფეხბურთელები. ტაკინარდი „იუვენტუსის" ნახევარმცველია და ტრაპატონის ეროვნულ გუნდში მისი ადგილიც არის, ისევე როგორც უდინესი ფიორესი. ლუკარელი „ლეჩეში" თამაშობს, კამარატა — „კალიარიში", სარტორი — „პარმაში". რივალტა „პერუჯას" მცველი გახლავთ, ოშადაგანი კი — „რეჯინას".

იმ მატჩში შეცვლაზე ახლა ატალანტელმა ვენტოლამ, ლაციოს ნახევარმცველმა და ნაკრებშიც გამოძახებულმა ბარონიომ და ინგლისის „ევერტონის" მცველმა პისტონემ ითამაშეს. სხვათა შორის, პისტონე ტრაპატონის თვალუწვდენელ ფერდზე ითამაშებს, თორემ ალბათ ისიც ეროვნულ გუნდში ითამაშებდა.

მაშინ, როცა იტალიელებმა ქართველ თანატოლებს დიდი სირცხვილი აჭამეს, მათი უმრავლესობა თავიანთი იმჟამინდელი კლუბების სათადარიგო იყო, ზოგი განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, დღეს კი...

ახლა ჩვენებურებზე, არეცოში ნასტუმრევ ბიჭებზე. ვინ რას მიაღწია ამ ოთხ წელიწადში არ გაინტერესებთ?

მეკარე ასლანაძე თბილისის „ლოკომოტივშია", მაგრამ ბოლოს როდის ითამაშა, ზუსტად აღარც გვახსოვს. ხუჯაძეც „დინამოში" ირიცხება და არ თამაშობს. დავითნიძე ელისტის „ურალანის" სათადარიგოა, გახოკიძე ჰოლანდიის პსვ-ის მეორე გუნდშია. ლომიძე გორის „დილას" მცველია, კიკნაძე მთლად უგუნდოდაა, მუჯირი მოლდოვაში, „შერიფში" თამაშობს, ქებაძე საბერძნეთში — „იანინაში", ფოცხვერია კარგა ხანი უგუნდოდ რომ იყო, ბოლოს დრეპროპეტროვსკის „დნიპროში" აღმოჩნდა, აშვეთია „ალანიას" თავდამსხმელია, თუმც იშვიათად თამაშობს. ერთადერთი, ვინც მაშინდელი ძირითადი შემადგენლობიდან გაიზარდა, როგორც ფეხბურთელი, კიევის დინამოელი კახა კალაძეა. არეცოშივე შეცვლაზე ზირაქიშვილმა ითამაშა, ახლა რომ „დინამოშია" და ორმა თავდამსხმელმაც, რომელთა პროგრესიც თვალშისაცემია — იაშვილი ბუნდესლიგის „ფრაიბურგშია", დემეტრაძე კი კალაძის თანაგუნდელია.

დავთვალოთ. იტალიის ახლანდელი ნაკრების წევრებად მაშინდელი, არეცოს შემადგენლობიდან 6 ფეხბურთელი ითვლება, ჩვენებურთაგან — 3.

ექვსი იტალიელი მსოფლიოს უძლიერეს გუნდებში თამაშობს, არ ვთვლით „ბოლონიას", „ლეჩეს", „კალიარის", „ევერტონს", „რეჯინას", არც „უდინეზეს", მაგრამ იქაური ფიორე ახლა ევროპაში ძალიან ძლიერ ფეხბურთელად ითვლება.

ქართველებიდან აი მხოლოდ ორნი, კალაძე და დემეტრაძე თამაშობენ საშუალო ევროპული დონის გუნდში და მათ ბუნდესლიგის „ფრაიბურგიც", ჰა და ჰა, დავამატოთ. დანარჩენებზე რაღა ვთქვათ, არც ვიცით.

კონტრასტსაც მიაქციეთ ყურადღება. სად „მილანი" და „იუვენტუსი", სად „შერიფი" და ვთქვათ, „ურალანი". როგორ იკითხება?

ახლა რუსთავში მოგებული მატჩიც გავიხსენოთ და ისინი ვახსენოთ, ვისაც არეცოში არ უთამაშია. „ფოლადის" სტადიონზე სამი წლის წინ დარბოდნენ — ბაკინი, ვინც ახლა „იუვენტუსშია", ნეაპოლელი ბელუჩი, შარშან „ლაციოში" მოთამაშე გრანდონი, ბოლონიელი გორეტი და სამპდორიას ფეხბურთელი პეზარეზი.

ქართველთაგან კი საჯაია, რომელიც დღესდღეობით მეორე ბუნდესლიგის „როიტლინგენში" თამაშობს, გოგობერიშვილი, ცოტა ხნის წინ მახაჩკალის „ანჟიდან" უკან რომ დაბრუნდა და ახლა უგუნდოდაა, თელ ავივის „მაკაბის" მწვრთნელის ათვალწუნებული დიდავა, გვარამაძე, რომელიც „კრილია სოვეტოვის" სათადარიგო და ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე სილაგაძე ასევე ნაკრებისა და „ლოკომოტივის" მცველი, ცქიტიშვილი, ნაკრებისა და „ფრაიბურგის" ფეხბურთელი და ალექსიძე, რომელმაც „ჩელსის" ძირითად გუნდში სულ ახლახან ითამაშა, ნაკრებში კი ჯანაშიას ნაცვლად უხმეს.

ამათგან მხოლოდ ცქიტიშვილისა და ალექსიძის პროგრესზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ. დანარჩენთაგან ზოგი საერთოდ არ თამაშობს, ზოგიც...

რას იტყვით, როგორი შედარებაა? გადაჭარბებული იქნება, როგორც ცა და დედამიწა ისეთი განსხვავებაო, რომ ვთქვათ?

არ გიკვირთ, რუსთავში ამ ბიჭებმა იტალიელები როგორ დაამარცხეს?

აი, რა სხვაობაა იტალიელ და ქართველ 21-წლამდელებს შორის.

ოთხი წელიც მიილევა და ვინძლო ისევ მსგავსი შინაარსის წერილი დავწეროთ და გუშინწინდელი შემადგენლობები გავიხსენოთ. თუმც რაღა ოთხი წლის შემდეგ, როცა ამჟამინდელი იტალიის ახალგაზრდული გუნდიდან ფერარი უკვე „ინტერში" თამაშობს, როსი და კასანო „ბარში", კორენტი „მილანის" ახალგაზრდულ გუნდში, პინარდი „ატალანტაში", მარესკა — „იუვენტუსში"... ამ გუნდის ნახევარზე მეტს აქვს იმის პოტენცია, იტალიის ეროვნულ გუნდში ითამაშოს. ჩვენებურთაგან კი... დღევანდელი „სარბიელის" მესამე გვერდზე გუშინწინდელი მატჩის შემადგენლობები წერია.

ანგარიშს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ერთი სიტყვით, 21-წლამდელთა ნაკრებში რომ ითამაშებ, ეს შენთვის სტიმული უნდა იყოს მერე და მერე რაღაცის მისაღწევად და არა კარიერის დასასრულის დასაწყისი. როგორც ოთხი წლის წინანდელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელისთვის.

კოტა ინასარიძე

გურამ დოლაბერიძის ფოტო

1997 წელი. 10 სექტემბერი. რუსთავი. საქართველო — იტალია 2:0. მასიმო ამბროზინი (№4) ახლა მილანელია, გიორგი კიკნაძე (№7) უგუნდოა, სტეფანო ფიორე უდინელია, ფრანჩესკო კოკოც (№5) მილანელია

ჯანაშიამ და ლოკომოტივმა როლები გაანაწილეს: საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს სირაქლემას ათამაშებენ

ჯიზი ზაზას პარადოქსი: 10 ოქტომბერს ლოკომოტივში თამაში შეიძლება, 11 ოქტომბერს ნაკრებში თამაში არ შეიძლება

ზაზა ჯანაშია

3 ოქტომბერი. „სარბიელი".

„7 და 11 ოქტომბრს, ლიტვასთან და იტალიასთან ვერაფრით დაგეხმარებით — გუშინ ტელეფონით აცნობა ჯანაშიამ ეროვნული გუნდის ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს — ბოლო მატჩში ტვინი შემერყა და ექიმების რჩევით 12 დღე უნდა დავისვენოო.

ჯანაშიას ნათქვამი ძოძუაშვილს მოსკოვის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამაც დაუდასტურა, თანაც დააყოლა, ფეხბურთელისთვის თბილისში გამოსაფრენი ბილეთი უკანვე დავაბრუნეთო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს საბაბი ჯანაშიას და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელთა სიტყვებს არ ვენდობით, თუმც კი ერთი ფაქტი, ვფიქრობთ, საგულისხმოა: ზაზა ჯანაშიამ სანკტ-პეტერბურგში 1 ოქტომბერს „ზენიტთან" 90 წუთს ითამაშა, ერთი გოლიც გაიტანა და თანაგუნდელებში უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა."

4 ოქტომბერი. „სარბიელი".

„სრულიად შესაძლებელია, ტვინი შეგერყეს, მაგრამ მატჩი დაამთავრო და გულისრევის შეგრძნება ამის მერეღა გაჩნდეს. თანაც ზაზამ დარეკა, ვწევარო და რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ — ნაკრების ექიმმა დიმა ზაალიშვილმა ეჭვები კომპეტენტური აზრით გაფანტა".

11 ოქტომბერი. „სპორტ ექსპრესი". ცეესკა — „ლოკომოტივის" გუშინწინდელი ამხანაგური მატჩის შემდეგ.

„ქართველი თავდამსხმელი დაუფიქრებლად მოიქცა. გასახდელიდან სველი თმებით გარეთ გამოვიდა და ტრიბუნაზე დაჯდა. ამ დროს ტემპერატურა 3 გრადუსი იყო, თუმცა რამდენიმე წუთში გუნდის ექიმმა შეინშნა მისცა და ჯანაშიამაც თავი მოსასხამში ჩარგო."

ზაზა ჯანაშიამ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. „ლოკომოტივი" მოსკოვში ცეესკას ეთამაშა და ჩვენებური თავდამსხმელი ძირითად შემადგენლობაში იყო. ის შესვენებაზე შეცვალეს.

ახლა, ბუნებრივია, საკითხავი ესაა: ამის წამკითხველმა უნდა დაიჯეროს, ჯანაშიას ტვინი შეერყაო.

ჯობს, სათქმელი პირდაპირვე ვთქვათ. ამ ბიჭს ეროვნულ გუნდში თამაში არ სურს. შეიძლება, აქვს საბაბი და ამიტომაც ხან რას იმიზეზებს, ხან — რას. ერთია მხოლოდ გაუგებარი, რატომ არ ადგება და არ იტყვის, მე ნაკრებში არ ვითამაშებო. შეუძლია, საამისო მიზეზიც დაუფარავად დაასახელოს. ყველაფერი მისი ნებაა.

ჯანაშიას ნაკრებში თამაშ-ართამაშზე დაუსრულებლად ლაპარაკიც აბსურდად იქცა. ისიც საინტერესოა როდემდე ჩაიგდებენ თავს უხერხულ მდგომარეობაში ნაკრების მწვრთნელები. როდემდე მოითმენენ ჯანაშია-„ლოკომოტივისგან" ნაწყალობევ ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემას როლს.

დღეს ითქმება ჩამოდისო, ხვალ — არაო, ზეგ, ისევ ჩამოდისო, საბოლოოდ კი, მერამდენედ, ნაკრებში არ თამაშობს, ტრავმა მაქვსო. „ლოკომოტივის" მატჩებში კი საკმაოდ მონდომებულია.

ისე, მაინც როგორი დასაჯერებელია, კაცს ტვინის შერყევა ჰქონდეს და ერთ კვირაში 3 გრადუს ტემპერატურაში ითამაშოს და ახალდაბანილი ტრიბუნაზე თავშიშველი იჯდეს...?

კოტა ინასარიძე

მერანი ფოცხვერაშვილის ფოტო

მიხეილ ფოცხვერია მერანში ითამაშებს

გახსოვთ ალბათ, რარიგ შთამბეჭდავად ამოტივტივდა მიხეილ ფოცხვერიას სახელი ქართულ ფეხბურთში, მაგრამ მერე მისი კარიერა ისე წარიმართა, რომ ეს პერსპექტიული ფორვარდი ჩრდილში მოექცა. ვერა და ვერ აეყწო მისი საქმეები დონეცკის „შახტარში", ვერც უცხოური ტრანსფერი შედგა...

როცა თბილისის „მერანს" ახალი პატრონი გამოუჩნდა, მყისვე გაჩნდა იმედიც, რომ ფოცხვერია ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში გააგრძელებდა თამაშს, თუმცა მაშინ ეს არ გამოვიდა. ახლა კი... როგორც „მერანის"პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ გვითხრა, მიშა 3-4 დღეში თბილისში ჩამოვა და უკვე IX ტურში „მერანის ღირსებასაც დაიცავს თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ ფოცხვერია ბოლო დროს დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" გამოდიოდა.

დავით თავგართაძილაძე

სინთეზატორი № 2

კაცი პატიოსან სიტყვაზე

ნიკოლაი პოდლესნი

გუნდში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამ რამდენიმე სიახლე მოუტანა თბილისის „მერანს". გულშემატკივრებისთვს ყველაზე თვალშისაცემი კი, რა თქმა უნდა, კლუბის ლეგიონერებია. ნიკოლაი პოდლესნის მერანელთა მშობლიურ „სინათლეზე" ჯერ არ უთამაშია და ავჭალელი ქომაგებიც ინტერესით ელიან მეორე უკრაინელის გაცნობას. 27 წლის პოდლესნის ქართული დებიუტი ქუთაისში შედგა „ტორპედოს" წინააღმდეგ და თვითმხილველთა თქმით, არცთუ ურიგოდ. ახლა კი უკრაინელი დანარჩენ მერანელებთან ერთად ჩემპიონატის განახლებისთვის გამალებით, დღეში ორჯერადი ვარჯიშებით ემზადება, და უახლოეს მომავალშიც, ალბათ, ნათლად წარმოაჩენს თავის შესაძლებლობებს.

მერანი ფოცხვერაშვილის ფოტო

— დაახლოებით ორი კვირაა, რაც აქ ხართ. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?

— სახლი, სფეხბურთო მინდორი და ისევ სახლი პირველი შთაბეჭდილებებისთვის არცთუ საკმარისია. ისე, აქაურობა ლამაზია, ფეხბურთის დონე კი უკრაინულთა შედარებით დაბალია. მიუხედავად ამისა, სადებიუტო მატჩი, უნდა ვაღიარო, ჩემთვის მძიმე გამოდგა.

— ესე იგი, ადაპტაცია ჯერაც გიჭირთ.

— რა თქმა უნდა, მე ხომ ლეგიონერი ვარ. გუნდში კი ძალიან კარგად მიმიღეს, ყველა ცდილობს, გამამხნევოს.

— მანამდე სად თამაშობდით?

— უკრაინის პირველ დივიზიონის „ჩერკასკში". თუმც რამდენიმე თვე ტრავმირებული ვიყავი და მერე ფორმის აღდგენისთვის სამოყვარულო გუნდში ვვარჯიშობდი. სწორედ მაშინ გამოჩნდა საქართველოში ჩამოსვლის ვარიანტი.

— თქვენი ნომინალური ამპლუა რომელია?

— ძირითადად დაცვაში ვთამაშობდი. ისეთი ტიპის მცველი ვარ, რომელიც შეტევებში ხშირად ერთვება. ქუთაისის „ტორპედოს" წინააღმდეგ კი მარჯვენა ნახევარმცველად გამამწესეს.

— აქ ჩამოსვლამდე რა ინფორმაცია გქონდათ თანამედროვე ქართულ ფეხბურთზე?

— თქვენს ფეხბურთს ძირითადად ტელეარხ HTB-თი ვიცნობდი და ქართველ ლეგიონერებზე საკმაო ინფორმაციასაც ვფლობ. თანაც, მე ხომ ადრე სოჭის „ჟემჩუჟინაში" გამოვდიოდი (ძირითადად შეცვლებზე მიწევდა თამაში) და, ბუნებრივია, გოჩა გოგრიჭიანსა და დანარჩენ ქართველ ჟემჩუჟინელებსაც კარგად ვიცნობ, მათ შორის ახლა „ტორპედოში" მოთამაშე იონანიძესაც. შარშანწინ, გახსოვთ ალბათ, თბილისის „დინამო" გვესტუმრა სოჭში ამხანაგური მატჩისთვის და გარკვეული წარმოდგენა ამითაც შემექმნა თანამედროვე ქართულ ფეხბურთზე.

— მიხეილ ფოცხვერიას არ იცნობთ?

— მე და მიშა ლუგანსკის სპორტულ ინტერნატში ერთად ვიყავით. სიჭაბუკეში და ახალგაზრდულ ასაკში სპეციალისტები მას ძალიან პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევდნენ და მათ შეხედულებებს, რა თქმა უნდა, მეც ვიზიარებდი. ინტერნატის მერე კი მიშას აღარ შევხვედრილვარ. გავიგე, თქვენს ახალგაზრდულ ნაკრებში კარგ დონეზე უთამაშია.

— უკრაინაში გაცილებით კარგი პირობები კია, მაგრამ თქვენს ფეხბურთშიც ალბათ არის პრობლემები, რის გამოც ეროვნული გუნდი ვერა და ვერ ხვდება მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე...

— უკრაინულ კლუბებს ძირითადად სპონსორები, კერძო სტრუქტურები პატრონობენ, მაგრამ არიან გამონაკლისებიც, ვთქვათ „შახტარი", რომელსაც მეტალურგიული ქარხნები აფინანსებს. კიევის „დინამოზე" კი მთელი სახელმწიფო მუშაობს, გარკვეული შეღავათები და პრივილეგიები აქვს. მე ვთვლი, რომ ყველა გუნდი თანაბარ პირობებში უნდა იყოს — ვიღაც-ვიღაცეების გაქაჩვა ხელს უშლის უკრაინული ფეხბურთის განვითარებას.

იგივე სიტუაციაა სხვაგანაც, თუნდაც რუსეთში და, ალბათ, თქვენთანაც ასე იქნება — გარკვეულ გუნდებს შეღავათები ექნებათ და მათ გაქაჩავენ.

— გაქვთ უკვე რაიმე საფუძველი, რომ ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი ასე დაგვიხასიათოთ?

— ასეთ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ. გეტყვით მხოლოდ, რომ თქვენი კალენდარი არ მომწონს.

— საქართველოს ნაკრების ლიტვასთან დიდი ანგარიშით გამარჯვება ბევრმა მოულოდნელობად აღიქვა...

— კი მაგრამ, რატომ? მე ვუყურე ამ თამაშს და როგორც კი თქვენი გუნდის შემადგენლობას გავეცანი, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ თქვენებურები მეტოქეზე გაცილებით მაღალ კლასს აჩვენებდნენ.

— უშუალოდ „მერანს" დავუბრუნდეთ. ლეგიონერების მოწვევით გუნდი ალბათ სულ სხვა სტილით თამაშზე გადართვას აპირებს. რა აზრის ხართ ქართულ-უკრაინულ მერანისეულ სინთეზზე?

— კარგია, რომ გუნდის თამაშში სიახლის შეტანას აპირებენ. მრავალფეროვნება და სხვადასხვა სათამაშო სტილის შერწყმა პერსპექტიული იდეაა, მაგრამ მთავარია ეს ყოველივე მაღალ დონეზე, სწორად გაკეთდეს. თანაც, როცა რაღაცას დაიწყებ, შუა გზაზე არ უნდა გაჩერდე. რა გამოვა აქედან, ჯერჯერობით დარწმუნებით ვერაფერს გეტყვით. იმედია, კლუბის ხელმძღვანელობა ყველაფერს გაიღებს, სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს. პირადად მე აქ პატიოსან სიტყვაზე ჩამოვედი, პატიოსანი სიტყვის იმედით ვთამაშობ, თორემ ფინანსურად დიდი არაფერი ბედენაა.

— გუნდის გულშემატკივრები თქვენგან, როგორც ლეგიონერისგან, ალბათ ძალიან ბევრს მოითხოვენ. რას ეტყოდით „მერანის" ქომაგებს?

— რაგორც არ უნდა იყოს, მთავარია, უპირველესად გუნდისთვის გაისარჯო და არა საკუთარი თავის წარმოსაჩენად. მთელი ძალით შევეცდები, ვაჩვენო ის, რაც ვარ და რაც შემიძლია. აქედან რა გამოვა, დრო გვიჩვენებს. ჩემის მხრივ კი თავს არ დავზოგავ.

მითხრეს, „მერანის" საშინაო თამაშებზე ტრიბუნები ივსებაო, მაგრამ აქ განა რამდენი კაცი უნდა დეტიოს? კარგი იქნება, თუ სტადიონზე იმაზე უფრო მეტი გულშემატკივარი მივა, ვიდრე ის იტევს. რაც უფრო მეტი მაყურებელი იქნება, გუნდიც უკეთესად ითამაშებს.

დავით თავგართაძილაძე

ფიფა ცაიტნოტში

19 დღეში ლაჟვარდოვან რევოლუციას ელიან

კარგა ხანია, აღარაფერი გვითქვამს ევროკავშირისა და ფიფა-უეფას დაპირისპირებაზე, რომელიც ფეხბურთში აქამდე არნახულ ცვლილებებს გვპირდება. შეგახსენებთ, რომ საუბარია ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე, არსებული სატრანსფერო სისტემა უკანონოდ გამოაცხადოს.

ადრე ვწერდით, რომ ევროპის მმართველებმა ფეხბურთის მამებს ალტერნატიული ვარიანტების მოსაფიქრებლად ვადა 20 სექტემბრამდე დაუთქვეს. 20 სექტემბრიდან ოცდაოდე დღე გავიდა, მაგრამ ახალი პროექტი ჯერაც არ არსებობს, მხოლოდ რამდენიმე მონახაზია. ევროკავშირმაც ფიფა-უეფა შეიკოდა, ძველი მუქარა, თქვენ თუ რაიმე ჭკვიანურს არ მოიფიქრებთ, სატრანსფერო სისტემას ერთი ხელის მოსმით გავაუქმებთო, დაივიწყა და ახალ ვადად ოქტომბრის ბოლო დღე დაუთქვა. 31 ოქტომბერს ნიცაში, საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე, დიდი ევროპული სამიტი უნდა გაიმართოს, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას ველით. რაღა დარჩა 31 ოქტომბრამდე, მაგრამ ორი თათბირის მოწყობა მოესწრება — ორივე ციურიხში გაიმართება: დღეს, 12 ოქტომბერს და სამიტამდე ოთხი დღით ადრე, 27-ში. თათბირებში ფიფასა და უეფას ჩინოსანთა გარდა ეროვნულ ფედერაციათა და კლუბების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, იქნებიან ფეხბურთელებიც.

— ნელ-ნელა წინ მივიწევთ — ამბობს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი — უამრავ საკითხზე შევთანხმდით, თუმცა მათი სირთულის გამო ეს არც ისე ადვილია". განვმარტოთ, რომ როცა ბლატერის შეთანხმების მიღწევაზე ლაპარაკობს, უშუალოდ საფეხბურთო წრეებში საერთო აზრის გამონახვას

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი

გულისხმობს, რომელსაც სამომავლოდ ევროკავშირი ან გაიზიარებს, ან არა. გავიხსენოთ, რომ ფიფა ევროკავშირს ასეთ ვარიანტს სთავაზობს: 18 წლამდე ფეხბურთელთა გაყიდვა საერთოდ აიკრძალოს, 18-დან 23-წლამდელების სანაცვლოდ კლუბებმა კომპენსაცია მიიღონ, ხოლო უფრო ახაკოვანმა მოთამაშეებმა კლუბები საკუთარი ნება-სურვილით გამოიცვალონ.

სხვა საკითხი, რომელსაც ფიფა ევროკავშირის წინაშე დააყენებს, ფეხბურთელის სტატუსის განსაზღვრაა. ევროკანონებით, ხელოვნების სფეროში მომუშავე ხალხი (მომღერლები, მსახიობები...) განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს და გამიჯნულია სხვა პროფესიებისგან. უეფას ვიცე-პრეზიდენტი, ფიფას აღმასკომის წევრი და ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პერ რავნ ომდალი გაკვირვებულია: „დღეს ფეხბურთელობა ისეთივე პროფესიად ითვლება, როგორიცაა, ვთქვათ, ინჟინერი. არადა, ფეხბურთი სანახაობაა და ისევე იზიდავს მაყურებელს, როგორც ოპერა. მაშ, რატომ არ უნდა გავუთანაბროთ ფეხბურთელი არტისტს? მით უმეტეს, პროფესიონალი ფეხბურთელები ძალიან ცოტანი არიან — მსოფლიოში ამ თამაშს ორასი მილიონი კაცი მისდევს, მათგან პროფესიონალი ორასი ათასიც არ იქნება".

არის ასეთი იდეაც — რესურსების, ინფრასტრუქტურის და ბავშვთა მომზადებაზე გაწეული ხარჯების გათვალისწინებით კლუბები ოთხ კატეგორიად დაიყოს. მიზანი ასეთია: ფეხბურთელების გადაბირებისას (18-დან 23-წლამდელები) კლუბები საკომპენსაციო თანხას კატეგორიების მიხედვით გადაიხდიან. ესე იგი, ერთი და იმავე ფეხბურთელის შეძენა სხვადასხვა კატეგორიის გუნდებს სხვადასხვა ფასი დაუჯდებათ. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი ქვეყნის კლუბებზეა საუბარი. სხვადასხვა ქვეყნებს შორის ანგარიშსწორება განსხვავებული პრინციპით მოხდება. მაგალითად, თუ ბელგიის პირველი კატეგორიის გუნდი ფეხბურთელს ინგლისის მეორე კატეგორიის გუნდში გაუშვებს, ინგლისელები ვალდებულები იქნებიან, ბელგიელებს პირველი კატეგორიის ტარიფით გაუსწორდნენ.

როგორც ვხედავთ, ეს იდეა საკმაოდ დაუხვეწავი და ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია, ისევე, როგორც ფეხბურთის მომავალი. თუმცა მოვიცადოთ ახალი სატრანსფერო სისტემის მიღებამდე, რომელშიც, ალბათ, ყველაფერი ნათლად და დეტალურად იქნება გათვლილი.

გიორგი დარჯანია

ჰიონესი დაუმს და გერმანიას დასცინის

_გაგრძელება. სამშაბათ დილით კრისტოფ დაუმი ადგა (ალბათ), ხელპირი დაიბანა (ალბათ), ისაუზმა (ალბათ), ათის ნახევარზე კი „ლევერკუზენის" საწვრთნელ ბაზას მიადგა (ნაღდად). იქ ნელ-ნელა გუნდის ფეხბურთელები იკრიბებოდნენ. ათი საათისთვის ყველა შეგროვდა და ვარჯიშიც დაიწყო. „ლევერკუზენი" ბუნდესლიგის მომავალი ტურის მატჩისთვის ემზადება — შაბათს ბრემენში „ვერდერს" სტუმრობს. ვარჯიშზე დაუმი ერთობ მხიარულად გამოიყურებოდა, ბევრს ხუმრობდა და იცინოდა. ერთი სიტყვით, ძალიან კარგ ხასიათზე გახლდათ. 11.40 საათზე დაუმმა ვარჯიშის დასრულება ბრძანა. 15 წუთიც ფეხბურთელებში გაერია, გეესაუბრ-გამოესაუბრა, ჭკუა დაარიგა, ცოტა იოხუნჯა კიდეც.

12 საათს რომ წუთები უკლდა, დაუმი ბაზის ადმინისტრაციულ შენობაში გაუჩინარდა, თავის ოთახში შეიკეტა, ტელევიზორი ტელეკომპანია „DSF"-ის არხზე დააყენა და სავარძელში ჩაჯდა. ზუსტად 12 საათზე ბერლინიდან „ბაიერნის" მენეჯერის, ული ჰიონესის პრესკონფერენციის პირდაპირი რეპორტაჟი დაიწყო.

ვიდრე პრესკონფერენციაზე ნათქვამს შემოგთავაზებდეთ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ული ჰიონესი ის კაცია, ვინც გერმანიის ნაკრების მომავალი თავკაცის კრისტოფ დაუმის რეპუტაცია გვარიანად შელახა. მაგას ეროვნული გუნდი როგორ უნდა ჩააბარო, გადასახადებს მალავს, კოკაინს ყნოსავს და მეძავებთან ერთობაო, თქვა ჰიონესმა ათიოდე დღის წინ. ეს „სარბიელის" მუდმივმა მკითხველმა უკვე იცის.

ახლა კი მოდით, ისევ ჰიონესს მოვუსმინოთ. აი, რა განაცხადა გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე:

„მე დაუმის ღირსების შებღალვა სულაც არ მიფიქრია. გაკვირვებული ვარ, რატომ ჰგონიათ, რომ ყველაფრის მიზეზი მე ვარ. დაუმისთვის არაფერი დამიბრალებია. ყველაფერი ჟურნალისტების შეთითხნილია. მათ ყველაფერი გააზვიადეს, ძალით შექმნეს აჟიოტაჟი — თქვა ჰიონესმა და იცით, ამას რა მოაყოლა? — ვინც გაბედავს და იტყვის, რომ მე დაუმს ის ბრალდებები წავუყენე, ცილისწამებისთვის უმალ

კრისტოფ დაუმი: იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

სასამართლოში ვუჩივლებ და პასუხს ვაგებინებ". ჰიონესი, ეტყობა, პრინციპით — ყველაზე კარგი თავდაცვა შეტევაო — მოქმედებს.

ეს ყველაფერი კი „ბაიერნის" მენეჯერმა მას შემდეგ თქვა, რაც დაუმმა თავიდან რამდენიმე ღერი თმა ამოიძრო და გამოსაკვლევად ჩააბარა, რათა დაამტკიცოს, რომ კოკაინისგან შორს დგას.

როცა პრესკონფერენცია დასრულდა, დაუმი კვლავ ბაზაზე გამოვიდა და ლამის ჟურნალისტების ტალღამ გადაუარა.

— თავს გამარჯვებულად გრძნობთ, ჰერ დაუმ? — ჰკითხეს „ლევერკუზენის" მწვრთნელს

— არავითარი კომენტარი — იყო პასუხი.

„არავითარი კომენტარი" — იგივე გაიმეორა ლევერკუზენელთა მენეჯერმა რაიმონდ კალმუნდმაც, რომელსაც მოგვიანებით ერთი-ორი სიტყვა მაინც ათქმევინეს.

„მორჩა, ჰიონესთან მეგობრულ ურთიერთობას წერტილი დაესვა. ჩვენ საერთო აღარაფერი გვექნება, გარდა იმისა, რომ გერმანულ ფეხბურთში ვიმუშავებთ" — აღნიშნა კალმუნდმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიონესმა ბრალდება უკან წაიღო, დაუმი მას თავის დანებებას არ უპირებს. მწვრთნელს გერმანიის იუსტიციის მინისტრი გერტა დობლერ-გმელინიც უჭერს მხარს. „როცა ადამიანს რაიმეში ადანაშაულებ, ის კი თავის უდანაშაულობას ამტკიცებს, არასწორია. კანონში გარკვევით წერია — კონკრეტული ბრალდება აუცილებლად დამამტკიცებელი საბუთებით უნდა იყოს გამაგრებული. ამიტომ თავად ჰიონესმა უნდა დაგვარწმუნოს თავისი სიტყვების სიმართლეში" — ამბობს მინისტრი.

დაუმსვე ემხრობიან ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი რუდი ფიოლერი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი, რომელიც კავშირის თავმჯდომარის, ეგიდიუს ბრაუნის ავადმყოფობის გამო მის მოვალეობას ასრულებს. მაიერ-ფორფელდერმა გაზეთ „ბილდთან" საუბარში აღნიშნა, რომ გაკვირვებულია ჰიონესის მოქმედებით.

დაუმმა მოიგო — ფიქრობენ დღეს გერმანიაში. იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის — ეს კი საყოველთაო აზრია. ჰოდა, „ლევერკუზენის" თავკაცსაც სახიდან ღიმილი არ შორდება.

დაუმი გერმანიის ნაკრების მწვრთნელობისთვის ემზადება. მას უკვე გამარჯვებას ულოცავენ. მაგრამ არის კი ვინმე ამ სკანდალში გამარჯვებული? — კითხულობს გერმანელთა ერთი ნაწილი. არიან ისეთებიც, ჯერ ხმას რომ არ იღებენ და დაუმის თმის ანალიზის პასუხს ელიან, რომელიც დაახლოებით 25 დღეში იქნება.

განო ოძრობირიძე

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" შესაძლოა „ოდენსეს" მეკარე იესპერ კრისტიანსენი შეიძინოს. დანიელი კვირის დასაწყისში მანჩესტერში ჩავიდა, სადაც მას შეამოწმებენ და იქნებ დაიტოვონ კიდეც. იესპერის ყიდვა ადრე „ტოტენჰემსაც" სურდა, მაგრამ ლონდონური კლუბის ხელმძღვანელებმა მოგვიანებით ამ განზრახვაზე ხელი აიღეს. ახალგაზრდა ფეხბურთელმა „ოდენსეში" ვეტერანი ლარს ჰოგი შეცვალა, რომელმაც ზაფხულში კარიერა დასრულა. კრისტიანსენი რამდენჯერმე დანიის ნაკრებშიც მიიწვიეს და მას პიტერ შმაიხელის შემცვლელად მიიჩნევენ.

რუსი ნახევარმცველი ვლადიმირ ბუტი დორტმუნდის „ბორუსიადან" გაუშვეს. მათიას ზამერის განცხადებით, იგი გუნდის ტაქტიკას ვეღარ ერგება. ფეხბურთელის შეძენის სურვილი უმალ თურქულმა კლუბებმა გამოთქვეს. გერმანული პრესის ვარაუდით, ესენი „გალათასარაი", „ბეშიქთაში" და „ტრაბზონსფორი" არიან, თუმცა ბუტს ბუნდესლიგაში დარჩენის შანსიც აქვს — მას „ვერდერში" ეპატიჟებიან. ბუტმა ბუნდესლიგაში 76 შეხვედრა ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა.

იტალიელმა კლაუდიო რანიერიმ „ჩელსიში" მისვლის შემდეგ პირველი ფეხბურთელი იყიდა — იუგოსლავიელი ნახევარმცველი სლავიშა იოკანოვიჩი ამიერიდან „სტემფორდ ბრიჯზე" ითამაშებს. მის სანაცვლოდ ლონდონურმა კლუბმა ესპანურ „დეპორტივოს" 1,7 მილიონი გირვანქა გადაუხადა. 32 წლის ფეხბურთელმა „ჩელსისთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იოკანოვიჩს ეროვნულ გუნდში 50 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა" ჩილელი კლარენს აკუნია შეიძინა, რაც პრემიერლიგურ კლუბს 1 მილიონი გირვანქა დაუჯდა. „ჭორები გავრცელდა, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედში" მიწვევედნენ. არც კი ვიცი, ეს ინფორმაცია საიდან მოდიოდა, ის კი უდავოა, რომ მას შემდეგ, რაც ბრიტანეთში მუშაობის უფლებას მოვიპოვებ, „ნიუკასლში" ვითამაშებ" — განაცხადა სამხრეთამერიკელმა. აკუნიას გარდა „ნიუკასლმა" ამ დღეებში არგენტინელი ფაკუნდო ბონვინიც გადაიბირა. 19 წლის ნახევარმცველი ბობი რობსონის გუნდში „ბოკა ხუნიორსიდან" გაანათხოვრეს. „ბონვინი მარცხენა ფრთაზე თამაშობს, თუმცა ცენტრშიც შეუძლია გადასვლა. ჩვენთან იგი სეზონის ბოლომდე დარჩება, მერე კი ვნახოთ, ეგებ საბოლოოდ შევიძინოთ" — განაცხადა ნიუკასლელთა ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მოხელემ.

იტალიელი ნახევარმცველი ენცო მარესკა, რომელმაც გუშინწინ ფერმოში ითამაშა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს გოლიც გაუტანა, კარიერას „ბოლონიაში" გააგრძელებს. „იუვენტუსმა" ახალგაზრდა ფეხბურთელი დროებით გაანათხოვრა. იგი ახალ გუნდს ქართველებთან მატჩის შემდეგ პირდაპირ ფერმოდან შეუერთდა. 20 წლის მარესკამ კარიერა „მილანში" დაიწყო, შემდეგ კი „კალიარიში" გადავიდა. მან ინგლისშიც მოსინჯა ძალა და ერთი პერიოდი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ღირსებას იცავდა. ეს მანამ, სანამ „იუვენტუსი" შეიძენდა.

მექსიკელმა ფორვარდმა კვატემოკ ბლანკომ მუხლის ტრავმა მიიღო და „ვალიადოლიდს" დაახლოებით ექვს თვეს დააკლდება. „ურთულესი ტრავმაა. საბედნიეროდ, ბლანკო კარგა ხანს ვერ ითამაშებს" — განაცხადა ესპანური კლუბის ექიმმა. ფეხბურთელი ნაკრებში თამაშის დროს დაშავდა, მაშინ, როცა მისი გუნდი ტრინიდად და ტობაგოს 7:0-ს ანადგურებდა. ბლანკოს კიდევ არაერთ გამოკვლევას ჩაუტარებენ და საბოლოო დიაგნოზს ოდნავ მოგვიანებით დაუსვამენ.

ანდრეას ბრემე (მარცხნივ) და მისი თანაშემწე: ეს სად მოვსულვართ...

ბრემე ჩივის

ანდრეას ბრემე გერმანული „კაიზერსლაუტერნის" თავკაცად ხუთი დღის დანიშნულია, თუმცა უკვე წუწუნი დაიწყო, ეს სად მოვედიო.

„კლუბში უფრო რთული სიტუაცია ყოფილა, ვიდრე მეგონა" — განუცხადა ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა გუშინ ჟურნალისტებს. ბრემე მარტო ამას არ დასჯერდა, ადგა და თავისი წინამორბედი, მწვრთნელობაში ჭიპმოჭრილი ოტო რეჰაგელი გააკრიტიკა.

„ვერ წარმოიდგენთ, გუნდში რა ხდება. სრული ქაოსი სუფევს. ფეხბურთელები განცალკევებულნი არიან, გუნდი დანაწევრებულია. საბრძოლო სულისკვეთება საერთოდ არ არის. ნეტავ, როგორ შეეძლო რეჰაგელს, ასეთ ვითარებაში მშვიდად ყოფილიყო" — თქვა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა.

ბრემემ რეჰაგელს სხვა რამეც დაუწუნა. კერძოდ, ფრანგ იური ჯორკაეფს მინდორზე ადგილი რატომ შეუცვალა, მისი ნახევარდაცვაში გამწესება დიდი შეცდომაო, აღნიშნა. „ჯორკაეფი გუნდს ბევრად მეტ სარგებელს მოუტანს, თუ თავის საყვარელ პოზიციაზე, თავდამსხმელების უკან ითამაშებს. ეს ჩვენს შეტევებს სიმწვავეს შემატებს" — იმედოვნებს ბრემე.

„კაიზერსლაუტერნის" ბოლოდროინდელ წარუმატებელ თამაშზე ბრემეს თანაშემწემ, რაინჰარდ შტუმფმაც ისაუბრა, რომელიც ახალი მწვრთნელის მისვლამდე რეჰაგელს ეხმარებოდა. შტუმპფის თქმით, ბოლო დროს „მეფე ოტოს" მხედველობა დაუქვეთდა — მატჩის დროს ვინმეს თამაში რომ მოეწონებოდა, ან პირიქით, უკმაყოფილო დარჩებოდა, სათადარიგოთა სკამზე მსხდომებს გვეკითხებოდა, რომელი ფეხბურთელი იყოო. თანაშემწის აზრით, ეს ფაქტორიც გარკვეულ გავლენას ახდენდა გუნდის თამაშსა თუ შედეგზე.

ახლა სერიოზული მუშაობა გვმართებს, რათა ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გუნდს დავაშსგავსო — ჩივის ბრემე.

100 000, S'IL VOUS PLAÎT

ინგლისში სანქციებმა სარეკორდო ზღვარს მიაღწია

„დამნაშავე არ ვარ — თქვა არსენ ვენგერმა სასამართლოზე, რომელიც მას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მოუწყო — რომ არ ჩავრეულიყავი, დარენ უილიამსონი და ტიერი ანრი ერთმანეთს დახოცავდნენ“.

17 აგვისტოს, პრემიერლიგის პირველ ტურში, „არსენალი“ სანდერლენდს სტუმრობდა და 0:1 წააგო. თუმცა ახლა ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს. იმ შეხვედრაში მსაჯმა უხეშობისთვის პატრიკ ვიეირა გააძევა (უკვე მერამდენედ). ვიეირა დიდად არც აღშფოთებულა და მოედანი დატოვა, ეპიზოდის გარჩევა კი უილიამსონმა და ანრიმ განიზრახეს. ცხადია, კამათის შემდეგ ორივე ფეხბურთელი თავის აზრზე დარჩა და გადაწყვიტეს, ერთმანეთისთვის სიმართლე ძალისმიერი მეთოდებით დაემტკიცებინათ. აქ საქმეში არსენ ვენგერი ჩაერია და ფეხბურთელთა დაშოშმინება მეტად უცნაურად სცადა — მეოთხე მსაჯს, პოლ ტეილორს აუხირდა და ლამის ხელით შეეხო.

ადრე მსგავსი დანაშაულისთვის მწვრთნელს არცთუ მკაცრად დასჯიდნენ, მაგრამ სეზონის დაწყების წინ ასოციაციამ ახალი წესები შემოიღო და კუნთებზე მაცქერალი აწი დანდობას არ უნდა ელოდეს. მაქსიმალური სასჯელი, რომელიც აქამდე პრემიერლიგელ მწვრთნელებს რგებიათ, ხუთი ათასი გირვანქა იყო. რეკორდსმენები კი რუუდ გულიტი, ჯონ გრეგორი და ერთ დროს სახელოვანი „ნოტინგემ ფორესტის“ დამრიგებელი ბრაიან კლაფი იყვნენ.

ხუთი ათასი გირვანქა სასაცილოდ ჟღერს იმ თანხასთან შედარებით, რომლის გადახდაც ვენგერს დაეკისრა. 100 ათასი გირვანქა და 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია — ასე ინგლისში აქამდე არავინ დასჯილა. თუმცა, ასოციაციის დირექტორ დევიდ დევისის თქმით, ვენგერი კიდევ ადვილად გადარჩა: „მისტერ ვენგერს უმცირესი სასჯელი დავაკისრეთ, რასაც მსაჯის შეურაცხყოფისთვის კანონი ითვალისწინებს“. დისკვალიფიკაცია 4 ნოემბრიდან ამოქმედდება, როცა „არსენალი“ მიდლსბროს ესტუმრება.

რაკიღა ვენგერის უსიამოვნების მიზეზი (ისე, 100 ათასი მისი 5 კვირის ხელფასია) უილიამსონისა და ანრის ჩხუბი გახდა, ხოლო მათ ვიეირას გაძევების გამო დასცხეს ერთმანეთს, ორიოდე სიტყვა ამ უკანასკნელზეც ვთქვათ, მით უმეტეს, რომ ფრანგიც ახალი ანტირეკორდის მფლობელია.

ინგლისური კანონებით, გაძევებული ფეხბურთელი მომდევნო მატჩს ავტომატურად არ ტოვებს და სანამ ფეხბურთის ასოციაციის სათანადო განკარგულება არ იქნება, თამაშს აგრძელებს. როგორც ვთქვით, ვიეირას პირველ ტურში აუფრიალეს წითელი ბარათი. მეორე ტურში „არსენალი“ „ლივერპულს“ ხვდებოდა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა იქაც გააგდებინა მინდვრიდან თავი. ორი გაძევება ზედიზედ ორ მატჩში — ვიეირა ამისთვის მთლად 150 ათასი გირვანქით დაჯარიმდა.

გიორგი დარჯანია

სახედარი თუ აქლემი

ვინ ჩაიბარებს ინგლისის ნაკრებს?

ვინ იქნება კევინ კიგანის მემკვიდრე? ინგლისში ამაზე უკვე ხუმრობენ. გუშინ ვწერდით, რომ მწვრთნელობის სურვილი დევიდ ბექემის სფაიზ-მეუღლე ვიქტორია ადამსმაც გამოთქვა, ხოლო გაზეთ „სანის“ მოწყობილ ინტერაქტიულ გამოკითხვაში ლამის სახედრის კანდიდატურამ გაიმარჯვა.

ვიქტორია ადამსს ბექემმა მიხედოს, „სანს“ კი რას ვერჩით? ქომაგებს ცოტათი გული მოაფხანინა, თან ოფიციალური პირებიც თუ მასხრობენ, ჟურნალისტებისგან რა გასაკვირია.

მოკლედ, ჰელსინკში მყოფმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ადამ კროზიემ სენსაციური განცხადება გააკეთა: „ნაკრების მწვრთნელად სახედარს არ დავნიშნავთ. თან, ინტერაქტიულ ტელეფონზე დარეკეა ფული ღირს, მე კი სახედრისთვის ხმის მისაცემად პენსაც არ გადავიხდიდი“. კეთილი, აბა, ვის ისურვებდი მწვრთნელადო — ჰკითხეს გამხიარებულებმა ჟურნალისტებმა. აღმასრულებელმა დირექტორმაც შეატყო, რომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა და თავადაც გაილაღა: „სახედარზე უკეთესი კანდიდატურა მყავს — აქლემი. ბოლოს და ბოლოს, აქლემი უცხოელია“. ამ სიტყვების გაგონებაზე მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა ჰოვარდ უილკინსონმა ნაძალადევი ღიმილით განაცხადა: „ჰო, რა თქმა უნდა, აქლემი სჯობს, უცხოელებს ხომ დიდ პატივს ვცემთ“. გავიხსენოთ, რომ „სანის“ გამოკითხვაში სახედარმა უილკინსონზე ოთხჯერ მეტი ხმა დააგროვა.

ხუმრობა ხუმრობად და ინგლისის ნაკრების მწვრთნელის დანიშვნას შობამდე არ უნდა ველოდოთ. იგივე ადამ კროზიე ამბობს: „დაშვებული შეცდომებიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ამას დრო სჭირდება, რის გამოც ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ვერიდებით“.

რამდენიმე დღეში ასოციაციის ჩინოვნიკებისა და პრემიერლიგის კლუბების წარმომადგენელთაგან შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც კანდიდატურებს განიხილავს. როგორც ასოციაციაში აცხადებენ, შერჩევის პროცესი ფარული იქნება და საზოგადოება მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებას შეიტყობს. რაც შეეხება ზოგიერთი სპეციალისტის უარს (ემე ჟაკე, არსენ ვენგერი, ალექს ფერგიუსონი, პიტერ ტეილორი), კროზიეს თქმით, მათთვის მწვრთნელობა ჯერ არც არავის შეუთავაზებია.

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ამერიკის ნაციონალების უმსაჩქარესი ბურთი

კონაკაკაფი

V ტური. C ჯგუფი

კანადა 10 პანამა

მექსიკა	5	4	0	1	17:2	12
ტრინიდადი	5	4	0	1	13:7	12
კანადა	5	1	1	3	1:8	4
პანამა	5	0	1	4	1:15	1

რივალდომ ფეხებით ილაპარაკოს!

ორი დღის წინ ბრაზილიელი რივალდო თავის კლუბ „ბარსელონას“ და ქომაგებს დაემუქრა: თუ ჩემი თამაშით უკმაყოფილონი ხართ, მზად ვარ, კონტრაქტი გავწყვიტო, ერთი პესეტაც არ მინდა, ისე წავალ სამშობლოშიო, თქვა ფეხბურთელმა და დაამატა, რაც ხელფასი მომიმატეს, მუდმივად ზეწოლას განვიცდი, თუ კვლავაც ასე გაგრძელდება, დავკრავ ფეხს და „ბარსადან“ წავალო. ამ ამბავს „სარბიელის“ მკითხველი სამშაბათის ნომერშიც წაიკითხავდა.

რივალდოს ამ განცხადებას „ბარსელონა“ უმალ გამოეხმაურა. კლუბის ერთერთმა ვიცე-პრეზიდენტმა, ხომე ლორადომ ფეხბურთელი გააკრიტიკა, ჩვენ მაგას ფეხბურთის თამაშში ვუხდით ფულს და არა იმიტომ, პირი მოაღოსო.

„მინდორზე ბურთით რივალდო ჩინებული სანახავია, მინდვრის გარეთ, მიკროფონით ხელში კი — დიდი ვერაფერი. მას მუდმივად უნდა ახსოვდეს, რატომ გავუფორმეთ კონტრაქტი და რისთვის ვუხდით ამხელა ხელფასს. ჩვენ მისი ნახვა მინდორზე გვსურს და საერთოდაც, თუ რაიმეს თქმა უნდა, თავისი ფეხებით თქვას“ — განაცხადა „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტმა.

ისე, ლორადოს ნათქვამმა ცოტა გაკვირვებაც გამოიწვია, რადგან რივალდოს ჟურნალისტებთან ნაუბარს ლორადომდე თავად კლუბის პრეზიდენმა ხუან გასპარმა გაუკეთა კომენტარი, რომელსაც რივალდო, ვიცე-პრეზიდენტისგან განსხვავებით, არ გაუკრიტიკებია. პირიქით, იმედი გამოთქვა, ბრაზილიელი თავისი კარგი თამაში ჩვენც და ქომაგებსაც, ალბათ, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებსო.

ამასობაში კი კატალონიურმა გაზეთმა „მუნდო დეპორტივომ“ გულშემატკივართა შორის გამოკითხვა ჩაატარა. „ბარსელონას“ ქომაგთა 45 პროცენტი თვლის, რომ რივალდოს გუნდიდან წასვლა თავად ბრაზილიელის შემდგომ კარიერაზე დადებითად იმოქმედებს.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის რივალდომ, რომელიც მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელია, „ბარსელონასთან“ ამ ზაფხულს ახალი კონტრაქტი გააფორმა. განახლებული ხელშეკრულების თანახმად, რივალდო პლანეტის ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელია. მისი წლიური ჯამაგირი 6 მილიონი დოლარია.

ვანო ოგროგბირიძე

პარმა თბილი ქალაქია

არგენტინელი მატიას ალმეიდა მისივე თანამემამულე ერნან კრესპოში გაცვლილი ფეხბურთელია. „ლაციომ“ ფორვარდის ხელში ჩაგდება რომ მოისურვა, „პარმაში“ ალმეიდა და პორტუგალიელი სერჟიო კონსეისაუ გაუშვა და თან რომაელებს სოლიდური თანხაც ჩაუთვალა. ბევრს შეიძლება სწყენოდა, ალმეიდა კი ამას არც იმჩნევს. პირიქით, პარმას ძალიან თბილად ახსენებს და ამაში თავადაც დარწმუნდებით. არგენტინელი ახალ კლუბზე, თანაგუნდელებთან ურთიერთობასა და ქალაქზე საუბრობს.

— ტრავმის მერე თავს როგორ გრძნობთ? თვლით, რომ პრინციპული მატჩების ჩატარება შეგიძლიათ?

— ფორმას დღითიდღე ვიბრუნებ. ახლა უკეთ ვარ. ტკივილები, ცოტა ხნის წინ ღამღამობით რომ მაღვიძებდა, აღარ მაწუხებს. საბედნიეროდ, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

— რამდენი მატჩი უნდა ჩაატარო, რომ ფორმა სრულად აღიდგინოთ და მინდორზე ჩვეულად, მნიდ გახვიდეთ?

— რამდენიმე პრინციპულ შეხვედრას ძლიერად რომ ჩაატარებ, შენს მზადყოფნაში მაშინ დარწმუნდები, გუნდის რიტმს აჰყვები და ტრავმა სულ დაგავიწყდება. ვთვლი, რომ ჩემს პოზიციაზე, ნახევარდაცვაში, გაცილებით ადვილია ფორმის სწრაფად აღდგენა. მეკარე ან ფორვარდი რომ ვყოფილიყავი, ორმაგად გამიჭირდებოდა. ახლა ჩემი მთავარი ამოცანაა, გუნდის ტაქტიკას მოვერგო.

— „პარმაში“ მხოლოდ ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეთ, მაგრამ უკვე იგრძნობა, რომ თანაგუნდელები მინდორზე გენდობიან. ჩახს, რომ მალესანის ტაქტიკა თქვენთვის უცხო არაა და მეტ-ნაკლებად შეგეგუთ კიდეც

— გუნდის ოფიციალურ თამაშებს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი. სერია A-ს პირველ შეხვედრაში შევეცადე, გულდასმით ამეწონა ყველაფერი. ვარჯიშებზე სრულად ვარ მობილიზებული. ყოველთვის ვცდილობ, ტაქტიკური მომზადება არ გავაცდინო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყოველდღიურად უფრო მეტს სწავლობ. მერე გუნდთან შეგუებაც გიადვილდება.

— გუნდის დასახულ სტრატეგიაზე რა აზრის ხართ. თვლით, რომ „პარმამ“ სეზონის დაწყებამდე სწორი გზა აირჩია?

— დიახ, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ვგონებ, გამართლებულია. გუნდი სწორ გზაზე დგას. კლუბში, ჩემი ჩათვლით, ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. ნათელია, რომ დიადი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ისე, დროა საჭირო, რათა მოთამაშეები ერთმანეთს შევეწყოთ. მწვრთნელმა ფეხბურთელების ხასიათი უნდა შეისწავლოს და პირიქით. კარგად უნდა გავიცნოთ ერთმანეთი. ამას რაც უფრო ნაკლებ დროს მოვანდომებთ, უკეთესია.

— სერია A ჩვეულებრივზე გვიან დაიწყო და გუნდთან შესაგუებელი დროც გქონდათ. თვლით, რომ ეს უკეთესი იყო?

— რა თქმა უნდა. საერთაშორისო მატჩებისა და ტრავმების გამო მწვრთნელებს ხშირად დრო არ რჩებათ, მოთამაშეებს დაუახლოვდნენ და მათი პოტენციალი სრულად შეაფასონ. ფეხბურთელებსაც რაღაც პერიოდი სჭირდებათ ერთმანეთთან შესაგუებლად — მით უმეტეს, თუ გუნდში ბევრი ლეგიონერია. ჩემპიონატი უფრო ადრე რომ დაწყებულიყო, დარწმუნებული ვარ, გაცილებით ძნელი იქნებოდა. იქნებ ახალ სეზონს შემართებით ვერც შევხვედროდით.

— პირველ ტურში „ფიორენტინასთან“ მატჩის შემდეგ, გუნდს ყველაზე მეტად იმიტომ აკრიტიკებდნენ, რომ უხასიათოდ ითამაშა და ბოლომდე არ მოინდომა...

— მე არ დავეთანხმები მათ, ვინც თვლის, რომ „პარმას“ რაიმე აკლია. მცირე ხარვეზები ყველგანაა, მაგრამ ყველამ უნდა მოინდომოს, სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალოს, თორემ „პარმაში“ ჯადოქარი არ გვყავს, ერთი ხელის მოსმით სასწაული მოახდინოს.

— ნაკრების თემასაც შეეხოთ. არ დარდობთ, რომ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ შესაძლოა ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოთ?

— არა, სულაც არ ვდარდობ. პირიქით, მშვიდად ვარ. ნაკრებიდან ხშირად მირეკავენ და ჩემს ჯანმრთელობაზე მეკითხებიან. მარსელო ბიელსამ მითხრა, რომ ადგილს მაშინვე დაიბრუნებ, როცა მზად ვიქნები. ეს ძალიან მახარებს და ვეცდები, მწვრთნელს იმედები გავუმართლო.

— ახალ თანაგუნდელებს როგორ შეეგუეთ?

— აქ სიტუაცია ძალიან სასიამოვნოა. ისე, ახალ კოლეგებთან ურთიერთობას ჩვეული ვარ. გამოგიტყდებით, „ლაციოში“ უფრო რთული იყო, მაგრამ იმასაც მალე შევეგუე. მითუმეტეს, „პარმაში“ არ გამჭირვებია.

აქ ჩინებული ატმოსფეროა. გუნდის წევრები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობიან. საერთოდ, ასეთი ჯანსაღი ურთიერთობა უდიდესი უპირატესობაა.

— ქალაქზეც გვითხარით. რამდენიმე თვეა, რაც პარმაში ხართ, შთაბეჭდილება გაგვიზიარეთ.

— ძალიან თბილი ქალაქია, უცხოობა არ მიგრძვნია. ახალი სახლიც მომწონს და სამეზობლოშიც იოლად გავერიე. ბინაში ყველა პირობა მაქვს შექმნილი — ტელეფონი, ტელევიზორი... რბილი ავეჯი.

— ამჟამად სად ცხოვრობთ?

— სტადიონთან ახლოს. ძალიან მყუდრო ადგილია. პარმის ქუჩები განსაკუთრებით მომწონს. რაღაცით არგენტინულ ქალაქ ასულს მაგონებს, სადაც მე დავიბადე. ყველა მეგობრულად მიყურებს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.

თარგმნა
ნიკა შუბლაძემ

კმაყოფილი ვარ, სიეტლს თავი რომ დავანებე. ახლა, მთავარია, ნიუ იორკს გავეცალო

20 სექტემბერს NBA-ს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გაცვლა განხორციელდა, რომლის შედეგადაც ოთხი კლუბის თორმეტმა კალათბურთელმა შეიცვალა ადგილსამყოფელი. მათ შორის აღმოჩნდა ქართველი ვლადიმერ სტეფანიაც, იგი „სიეტლ სუპერსონიქსს" გამოეთხოვა და „ნიუ იორკ ნიქსის" საკუთრებად იქცა. რას შეცვლის ეს სტეფანიას ცხოვრებაში? რას შეჰმატებს მის კარიერას კლუბის გამოცვლა? ამ კითხვებზე მოვლენათა შემდგომი განვითარება გაგვცემს პასუხს. ფაქტი ერთია: „სიეტლი" ახლა უკვე წარსულია ვოვასთვის და ჩვენ, ქართველებს, ოკეანის გაღმა ახალი საქომაგო გუნდი გვყავს.

არის კი „ნიუ იორკი" ის გუნდი, სადაც ვლადიმერი ფეხს მოიკიდებს? — ამას წინდაწინ ვერც ჩვენ განვსაზღვრავთ და ვერც თავად სტეფანია. გავა დრო და გამოჩნდება, რა არგუნა ბედმა ჩვენებურს.

რას ფიქრობს თავად სტეფანია, როგორ აფასებს ქართველი ყოველივეს, ამ ინტერვიუდან შეიტყობთ...



ვლადიმერ სტეფანია

— როდის გაიგეთ, რომ ასეთი გრანდიოზული გაცვლა მზადდებოდა-და თუ იცოდით, რომ მასში თქვენც იყავით გარეული?

— ამ საკითხზე მითქმა-მოთქმა აგვისტოში დაიწყო. მას შემდეგ რამდენჯერმე შეფერხდა მოლაპარაკებები, თუმც ერთ რამეში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, ნებისმიერი გარიგება, რომელშიც „სონიქსი" მიიღებდა მონაწილეობას, ჩემი სხვა კლუბში გადაბარგებით დასრულდებოდა.

— მაშ, ელოდით, რომ გაგცვლიდნენ...

— ნამდვილად. სიტუაციიდან გამომდინარე, ადვილი შესამჩნევი იყო, რომ „სიეტლს" ჩემი სხვაგან გაშვება სურდა. კარგა ხნით ადრე მივხვდი, რომ მწვრთნელი პოლ ვესტფოლი იოლად შემელეოდა.

— ვესტფოლთან პირადად არ გესაუბრიათ?

— ბოლო დროს უბრად ვიყავი მწვრთნელთან. მან არაერთხელ მაგრძნობინა, რომ აღარ ვჭირდებოდი და აღარც მე მიკითხავს მიზეზი. წინა სეზონი რომ დამთავრდა, მხოლოდ ის ვუთხარი, თუ სხვაგან წასვლის შანსი გამოჩნდა, ნუ დამაკავებთ, გამცვალეთ-მეთქი. რაც ამის შემდეგ მოხდა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

— მაინც რატომ აგითვალწუნათ ვესტფოლმა?

— რა გითხრათ, თავადაც არ ვიცი. ისე, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ხშირად ხდება ხოლმე ასე, როცა მწვრთნელს მოთამაშე აღარ სჭირდება, ურთიერთობაც იძაბება.

— იმისთვის, რომ „ნიუ იორკიდან" პატრიკ იუინგი აეყვანა, „სიეტლმა" შვიდი მოთამაშე გაუშვა, მათ შორის თქვენც. როგორ ფიქრობთ, სწორი ნაბიჯი გადადგა „სონიქსმა"?

— პატრიკ იუინგი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „სონიქსს" ამ ამპლუაში პრობლემები ჰქონდა, მაშინ ამ კლუბის არჩევანი გამართლებულია. თუმც მე ეს უკვე ნაკლებად მაღელვებს, რა ჩემი საქმეა „სიეტლის" მომავალი, საკუთარზე ვფიქრობ.

— კარგით, მაშ, ისევ თქვენს ამბებს დაგუბრუნდეთ. რა ვითარებაში შეიტყვეთ, რომ თქვენ „სიეტლის" კი არა, „ნიუ იორკის" საკუთრება იყავით?

— ყოველივე ჩვეულებრივად მოხდა. შინ ვიყავი, დამირეკა „სონიქსის" გენერალურმა მენეჯერმა და მითხრა, ერთ საათში ნიუიორკელი გახდებიო, სულ ეს იყო. მერე ნელ-ნელა მოვემზადე და ნიუ იორკს გავემგზავრე, აქაური წესის თანახმად, 48 საათში უნდა გამოვცხადებულიყავი ახალ კლუბში.

— როგორ მიგიღეს „ნიქსში"?

— ნორმალურად, ღიმილით შემხვდნენ. პირველად გუნდის მთავარი მწვრთნელი, ჯეფ ვან განდი გამეცნო და ჩვენს შორის მცირე საუბარიც შედგა. მან აღნიშნა, რომ მოხარულია ჩემი „ნიუ იორკში" გადასვლით და დასძინა, შანსი გაქვს, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროო.

— კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის პირობებზე არ გილაპარაკიათ?

— ძველი კონტრაქტი რჩება ძალაში, ის, რომელიც თავის დროზე „სიეტლს" გავუფორმე. წესით, კიდევ ერთი წელი უნდა მეთამაშა „სონიქსში", მაგრამ რაკი გამცვალეს, „ნიუ იორკში" გავატარებ ამ სეზონს. გასამრჯელოსაც ზუსტად იმდენს მივიღებ, რაც „სიეტლში" უნდა მოეცათ. ერთი სიტყვით, ჩათვალეთ, რომ „ნიქსთან" ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს, სეზონი რომ დამთავრდება, თავისუფალი აგენტი გავხდები, მერე იქ წავალ, სადაც მოვისურვებ.

— ვოვა, როგორ ფიქრობთ, „ნიუ იორკი" სასურველი ვარიანტი იყო თქვენთვის?

— ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს. არ მქონდა უფლება, თავად გამეკეთებინა არჩევანი.

— გამოდის, არ ხართ კმაყოფილი...

— კმაყოფილი მხოლოდ იმით ვარ, რომ „სონიქსს" თავი დავაღწიე. იმ კლუბში უკვე გარკვეული იყო ჩემი ბედი. აქ კი არ ვიცი რა მომელის, გაურკვევლობაში ვარ და ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვნერვიულობ.

— სანერვიულო რაღა გაქვთ?

— ახლა ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი დრო დადგა. იმ ორმა წელმა, რომელიც „სონიქსში" გავატარე, ბევრი ვერაფერი შემძინა, რადგან უმეტესწილად სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი. ახლა „ნიუ იორკშიც" რომ იგივე განმეორდეს, გამოვა, რომ ეს სამი წელი ტყუილად დავკარგე. თუ წლეულსაც ვერაფრით გამოვიჩინე თავი, მერე ყველა უარს იტყვის ჩემში ფულის გადახდაზე. უსახელო კალათბურთელი არავის სჭირდება.

— ჩანს, „ნიუ იორკში" არსებული კონკურენცია გაშინებთ...

— „ნიქსი" ძალიან ამბიციური და ჩინებულად დაკომპლექტებული გუნდია. შესაძლოა, ამ ეტაპზე მართლაც ვერ გავუძლო კონკურენციას და კვლავაც სათადარიგოთა სკამზე მომიწიოს ყურყუტი, მე კი ეს არ მსურს, თამაში მინდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩემი ამ კლუბში დარჩენა დიდი რისკი იქნება.

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— ჩემს მენეჯერს ვთხოვე, თუ შეუძლია, სხვა კლუბი გამომინახოს. „ნიქსის" ძირითადში ადგილს მაინც ვერ დავიმკვიდრებ და არა მგონია, მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ უარი თქვას ჩემს გაშვებაზე. სხვა, ნაკლებად ამბიციურ გუნდში თავის წარმოჩენის უკეთესი შანსი მომეცემა და თუ ეს შევძელი, გაისად სასურველ კონტრაქტს გავაფორმებ. ახლა ხომ ხვდებით, ასე რატომ ვლაპარაკობ. წინ ვიყურები, ჩემი შემდგომი კარიერისთვის სკამზე ჯდომა დამღუპველი იქნება. ჯობს, ნაკლებად ძლიერ გუნდში ვიყო და რაც შეიძლება ბევრი ვითამაშო.

— მაშ, გამორიცხული არაა, კვლავ შეიცვალოთ კლუბი.

— ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, ასე მოხდეს. ჩემი აგენტი სადღეისოდ სწორედ ამ საკითხზე მუშაობს და ყოველივეს უახლოეს ერთ კვირაში მოეფინება ნათელი.

— როგორც ვიცით, თქვენ ევროპიდანაც გაქვთ წინადადებები. ისიც შევიტყვეთ, ყველაზე მეტს ესპანელები აქტიურობენო...

— კონკრეტული წინადადებით მომმართა ესპანურმა „ტაუმ". პირნეელები თანახმანი არიან, ნიუიორკელებისგან ჩემი კონტრაქტი გამოისყიდონ. მეც გვარიან თანხას მთავაზობენ, მაგრამ უარს ვეუბნები, არ მსურს ამ კლუბში გადასვლა, რადგან არ მომწონს. ევროპაში წასვლა თუ გადაწყვიტე, უფრო სოლიდურ კლუბს შევარჩევ. იქამდე კი შევეცდები, აქვე, ამერიკაში მოვნახო სასურველი გუნდი. ნბა მაინც სულ სხვაა.

— ვოვა, იქნებ „ნიუ იორკშიც" შეძლოთ ადგილის დამკვიდრება, საკუთარი ძალების რწმენა სომ არ დაკარგეთ?

— ჩემს პოზიციაზე აქ ძალიან დიდი კონკურენციაა — ლონგლი, კემბი, სპენსერი... მზად ვარ, თავდაუზოგავად ვივარჯიშო და ამ ბიჭებს ტოლი არაფერში დავუდო, მაგრამ ასაკი, გამოცდილება — ესეც ბევრს ნიშავს. რა გარანტია მაქვს, რომ ჯეფ ვან განდი მათ მე მამჯობინებს? ამიტომ, მერწმუნეთ, არ ღირს რისკის გაწევად. ჯობს, მალევე გავეცალო აქაურობას. იქ მარჩევნია, სადაც ბევრს მთამაშებენ, როგორც კალათბურთელი, მხოლოდ ასე თუ გავიზრდები.

გიორგი ბიკაშვილი

საგამოფენო მატჩები

10 ოქტომბერი

ნიუ იორკი 96:91 ჩიკაგო

ნიუ იორკი: ვორდი (6), სპრიუელი (21), რაისი (20), ჯენსონი (6), კემბი (3); სტრიკლენდი (10), პოსტელი (8), ტომასი (8), ნაითი (6), მიკილი (4), ჩაილდსი (4)
ჩიკაგო: დრიუ (5), მერსერი (17), არტესტი (15), ბრენდი (15), რუფინი (5); ფიზერი (8), ბეილი (7), მილერი (6), გიტონი (6), კროუფორდი (5), ბენჯამინი (2)

ფილადელფია 92:87 სან ანტონიო

ტორონტო 96:100 მინესოტა

დეტროიტი 91:94 კლივლენდი

ორლანდო 105:83 ატლანტა

ვანკუვერი 91:84 გოლდენ სტეიტი

დალასი 93:92 პიუსტონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის

2000-01 სეზონის დაწყებამდე სამ კვირაზე ნაკლები დარჩა. კარსმომდგარი რეგულარული ჩემპიონატისთვის გუნდებიც ინტენსიურად ემზადებიან. სამი ოქტომბრიდან გაიხსნა საწვრთნელი ბანაკები, 10 ოქტომბერს კი გუნდებმა პირველი საგამოფენო თამაშები გამართეს.

ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას ახალმა კლუბმა „ნიუ იორკ ნიქსმა" მშობლიურ „მედისონ სკვერ გარდენში"

გამოფენა გაიხსნა

უმასპინძლა მოღონიერებულ „ჩიკაგო ბულზს" და თვრამეტი ათასი გულშემატკივრის თვალწინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. სტეფანიას ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. აქედანვე ვთქვათ, რომ ვოვას „ნიქსის" თორმეტკაციან შემადგენლობაში მოხვედრის არცთუ დიდი შანსი აქვს. „ნიუ იორკმა" ამ სეზონთაშორის პერიოდში ბევრი ახალი კალათბურთელი აიყვანა და ახლა ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ახლებს (რამდენიმეს გამოკლებით) დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწევთ. განსაკუთრებით შესაშინეავია მაღალი კალათბურთელების თავმოყრა, რაც, ცხადია, სტეფანიას წისქვილზე არ ასხამს წყალს.

„ჩიკაგოსთან" შეხვედრაში „ნიუ იორკის" მწვრთნელი სულ 11 კალათბურთელს დაეყრდნო მაშინ, როდესაც დღესდღეობით გუნდში ოფიციალური მონაცემების მიხედვით 19 კაცი ირიცხება. არ უთამაშია მუხლმტკივან ლუკ ლონგლის, რომელიც სავარაუდოდ „ნიქსის" ძირითად ცენტრად მოიაზრება. მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ გაურკვეველი მიზეზებით არ ათამაშა კიდევ ერთი ცენტრი, ვეტერანი ფელტონ სპენსერი. ამ ორი ცენტრის არყოფნის მიუხედავად, სტეფანიასთვის მაინც ვერ მოინახა შემადგენლობაში ადგილი. სამაგიეროდ, ვან განდიმ გამოსცადა დრაფტის მეორე წრეში აყვანილი ორი ახალბედა — პიტ მიკილი და ლევორ პოსტელი. ორივე კალათბურთელი ორ მეტრზე დაბალია, თუმც ფარის მოთამაშეებად ითვლებიან. მიკილი სულ 196 სანტიმეტრია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, თავი თავდამსხმელად ჩათვალოს. ახალბედებთან ერთად ვან განდიმ ათამაშა სტეფანიას ალბათ ძირითადი კონკურენტი ტრევის ნაითი. ნიუიორკელთა თავკაცი ალბათ ნაითს უფრო ენდობა, რადგან იგი ჩვენებურზე გამოცდილია — ოთხი წელი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" ითამაშა და წლეულს მის რიგებში ლიგის ჩემპიონიც გახდა.

რაც შეეხება თვითონ შეხვედრას, იგი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რაშიც ლომის წილი მასპინძელმა — გლენ რაისმა დიდო. რაისი ნბა-ში ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია, შეტევათა დაგვირგვინებაც კარგად ეხერხება. ვან განდიმ ეს, ცხადია, ჩვენზე უკეთ იცის, თუმც რაისის გამოსაცდელად შეგირდებს უბრძანა, მასზე ეთამაშათ. რაისსაც სროლები არ წაუვიდა, რითაც „ჩიკაგომ" კარგად ისარგებლა და პირველი მეოთხედი 22:14 მოიგო. მეორე მეოთხედში მასპინძლებმა ტაქტიკა შეცვალეს. რაისმა სროლებს თავი ანება და ბურთით თუ უბურთოდ სახიფათო მოძრაობებს მიჰყო ხელი. მას კარგი დრიბლიორის სახელი არა აქვს, თუმც ჩიკაგოელები მასზე ხშირად ჯარიმდებოდნენ. რაისმაც თამაშში დაგროვილი 20 ქულიდან 16 საჯარიმოებთან მოიპოვა, ამასთან ერთიც არ აუცილებია.

„ნიუ იორკმა" საქმე მესამე მეოთხედში გამოასწორა ექსლეიკერსელების — რაისისა და ნაითის წყალობით. ამ უკანასკნელმა ზედიზედ ორი ლამაზი ბურთი ჩააგდო და თავის გუნდს ორწუთიანი მონაკვეთი 8:0 მოაგებინა. ბევრს აქტიურობდა ძველი ნიუიორკელი ლატრელ სპრიუელიც. „ჩიკაგომ" ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მასპინძლებს დარჩათ. აღსანიშნავია, რომ „ნიუ იორკმა" ლიდერი, სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი ალან ჰიუსტონი ტრავმის გამო მოისაკლისა.

მართალია, რაისს ახალი გუნდის რიგებში ჩატარებული პირველ შეხვედრაში ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ მას მაინც ემუქრება საფრთხე, რომ სასტარტო ხუთეულში ხშირად ვერ მოხვდება, რადგან იგი, სპრიუელი და ჰიუსტონი თითქმის ერთი ამპლუის მთამაშეები არიან და ეგებ ერთმანეთს ხელი შეეშალონ. ორი მსროლელი — სპრიუელი და ჰიუსტონი — ავად თუ კარგად ერთმანეთს ეგუებოდა ახლა მათ ნომინალური ფრთა, ფაქტობრივად კი ასევე მსროლელი რაისი ჩაეზიარებათ.

ირაკლი ფირაშვილი

იყიდება ან ქირავდება



შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23

ევროპული ამბები

იუგოსლავია



ვლადე დივაცი ბელგრადის „პარტიზანის“ პრეზიდენტია

პარტიზანის პარსკვლავური მმართველობა

ვლადე დივაცი პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდა

იუგოსლავიური კალათბურთის ერთ-ერთ ფლაგმანს, ბელგრადის „პარტიზანს“ კარგი დროება არ უდგას. ფინანსური კრიზისი უსაშველოდ გაჭიანურდა, ხოლო არამყარი მატერიალური მდგომარეობა „პარტიზანის“ შედეგებშიც ისახა — გუნდს კარგა ხანია აღარ მოუგია იუგოსლავიის ჩემპიონატი, ტიტულს ხან თანაქალაქელი და მოსისხლე „ცრვენა ზვეზდა“ ართმევს, ხან — პოდგორიცას „ბუდუნნოსტი“. „პარტიზანს“ აღარც ევროსარბიელზე უსახელებია თავი, არადა ბელგრადელებმა 1992 წელს ევროლიგა მოიგეს.

„პარტიზანის“ დირექტორთა საბჭო გუშინწინ საღამოს, აგერ უკვე მერამდენედ შეიკრიბა და რთული სიტუაციიდან გამოსვლის გზებზე იმსჯელა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ შეცვლილიყო კლუბის მმართველობა და ახალი ხელმძღვანელობაც აირჩიეს. იგი ერთობ ვარსკვლავურია. „პარტიზანის“ პრეზიდენტი გახდა იუგოსლავიის ნაკრების და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „საკრამენტო კინგზის“ ცენტრი ვლადე დივაცი. ოთხი ვიცე-პრეზიდენტიდან სამი განთქმული კალათბურთელია: წარსულის დიდი მოთამაშე, ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი დრაჟენ დალიპაგიჩი; მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჟარკო პასკალი და იტალიის „კინდერ-ის“ ფორვარდი პრედრაგ დანილოვიჩი. მეოთხე ვიცე-პრეზიდენტად ვლადე დივაცის ძმა, ივიცა დივაცი აირჩიეს.

აღსანიშნავია, რომ დივაცს, დალიპაგიჩს, პასპალს და დანილოვიჩს სხვადასხვა დროს უთამაშიათ „პარტიზანში“. კლუბის დირექტორთა საბჭო თვლის, რომ ამ ხალხზე უკეთ გუნდს ვერავინ მიხედავს.

საბერძნეთი

რეგულარული ჩემპიონატი იწყება 21 ოქტომბერს, მთავრდება 2001 წლის 25 აპრილს.

მონაწილეობს 14 გუნდი.

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

ბრისი — პანიონიოსი
ირაკლიონი — პანათინაიკოსი
პერისტერი — პაოკ
ოლიმპიაკოსი — დაფნი
მილონი — მარუსი
აეკ — მაკედონიკოსი
ირაკლისი — ნიარ ისტი

საფრანგეთი

რეგულარული ჩემპიონატი იწყება 14 ოქტომბერს, მთავრდება 2001 წლის 9 მაისს.

მონაწილეობს 16 გუნდი.

პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

პო ორტეზი — ბეზანსონი
დიჟონი — სტრასბური
ანტიბი — ვილერბანი
ბურჟი — შალონი
ჟოლე — მონპელიე
ევრი — ლე ავრი
ნანსი — გრანელინი
ლე მანი — რასინგი

აივერსონი ამღერდა



ალენ აივერსონი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის, ალენ აივერსონის გარშემო კვლავ დიდი მითქმა-მოთქმაა. უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ ნიჭიერ, მაგრამ თავნება ვარსკვლავს სერიოზული უთანხმოება აქვს თავის მწვრთნელ ლარი ბრაუნთან. „ფილადელფია 76-ის“ თავკაცს ნბა-ში ერთ-ერთ უმკაცრეს მწვრთნელად იცნობენ, ამავე გუნდის ლიდერი აივერსონი კი არა მარტო კარგი თამაშით, არამედ ხულიგნობითაც არის განთქმული. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ დამრიგებელი და შეგირდი ერთმანეთთან ვერ მორიგებულან.

განხეთქილება გამოიწვია კალათბურთელის ლამის ყოველდღიურმა დაგვიანებებმა ვარჯიშზე. აივერსონი ხშირად სულაც არ მიდიოდა სავარჯიშოდ, მეორე დღეს კი ახსნა-განმარტებებსაც არ იძლეოდა. უბრალოდ, ამისთვის თავსაც არ იწუხებდა, როგორც ბრაუნი ამბობს. მწვრთნელი განსაკუთრებით იმას აღუშფოთებია, რომ გასული სეზონის დამთავრებისთანავე აივერსონი საერთოდ გაქრა ბრაუნის თვალსაწიერიდან და ახლაღა გამოჩნდა, როცა საწვრთნელი ბანაკები გაიხსნა. ბრაუნი ისე გააბრაზა კალათბურთელის უპასუხისმგებლობამ, რომ გუნდის ხელმძღვანელობას შეუჩნდა, ეგ თავხედი „კლიპერსში“ გავცვალოთო. მაგრამ, საქმე აქამდე არ მისულა.

„ხალხს ოლონდ სბაბი მიეცი და იმწამსვე ცუდ ბიჭად შეგრაცხავს. მე რომ ვარჯიშებზე დროზე მივსულიყავი, ვერაფერსაც იტყოდნენ, რადგან ჩემს თამაშს ვერ გააკრიტიკებენ. ვარჯიშებზე ვაგვიანებდი და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ის კალათბურთელი, რომელმაც გუნდი ორჯერ პლეი ოფში გაიყვანა, ლიგის ყველაზე ცუდ გუნდში გაეშვათ. და ამის მერე თბილ დამოკიდებულებას და ამგვარ რაღაცეებს ითხოვენ. ადრე ვფიქრობდი, რომ აქ მეგობრები მყავდა, მაგრამ შევმცდარვარ“ — წუხს აივერსონი.

ისე, თუ მართლა გაინტერესებთ, რას აკეთებდა ალენ აივერსონი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, გეტყვით — იგი თავის რეპ-ალბომზე მუშაობდა. ალბომი უკვე მზადაა და მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, დღე-დღეზე გაიყიდება კიდეც. ვარჯიშების გაცდენის გამო გაკრიტიკება მონაგონია იმასთან შედარებით, რაც აივერსონს თავისმა სიმღერებმა დაატეხეს თავს. ქუჩური ჟარგონებითა და უცენზურო სიტყვებითი გაჟღენთილმა ტექსტებმა ერთნაირად აღაშფოთა და შეურაცხყო „ფილადელფიას“ ხელმძღვანელობა, მეოჯახე ქალები, მამათმავლები და სხვები. აივერსონის რეპ-ლირიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. „ფილადელფიას“ ხელმძღვანელობა მათთვის არასასიამოვნო კუთხით წარმოაჩინა და ხოტბა შეასხა ზანგური გეტოების ვაჟკაცურ ბიჭებს. ერთ სიმღერაში აივერსონი დაახლოებით ასეთ რამეს ამბობს, ვინც იარაღს ამოიღებს და არ გაისვრის, კაცი არ არისო, მელოდიას პისტოლეტის ბათქა-ბუთქი ახლავს თან.

„ჩემი სიმღერები ბავშვებისთვის იწერება. მე ყველას ვუჩვენე გზა, რომელიც ბავშვობიდან გავიარე. მაგრამ ახლა ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. თუ ვინმეს ჩემი შემოქმედება აინტერესებს, ჩემი ალბომი რამდენიმე დღეში იკითხოს მუსიკალურ მაღაზიებში. ახლა კალათბურთის დროა და მე დავამტკიცებ, რომ არავისზე ნაკლები პროფესიონალი არა ვარ“ — ამბობს აივერსონი და ახალი სეზონისთვის ემზადება.

„რას მღერის ალენი, ეს ჩვენი საქმე არაა. მთავარია, მან კარგად ითამაშოს. თუ რას გააკეთებს მოედნის გარეთ, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა. ჩვენ მას ქუჩაში ვერ გავაკონტროლებთ“ — ამბობს „ფილადელფიას“ პრეზიდენტი პატ კროუსი. რაც შეეხება ლარი ბრაუნს, იგი ამბობს, რომ აივერსონის მუსიკით გატაცება სულაც არ აშფოთებს. „მე მისთვის არასდროს დამიშლია სიმღერა. უბრალოდ მინდა, იგი დაემორჩილოს იმ საერთო წესებს, რომელთა დაცვა ნებისმიერი კალათბურთელისთვის სავალდებულოა. მთავარია, ადრე დაიძინოს და ვარჯიშებზე არ დაგვიანოს“ — ამბობს ბრაუნი.

ჯერჯერობით აივერსონს არ დაუგვიანებია საწვრთნელი ბანაკების ვარჯიშებზე.

ივანე კოგიაფვილი

დანაჩაცემული პირსი სეზონს ჩვეულებრივად დაიწყებს



პოლ პირსი

25 სექტემბერს დილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც „ბოსტონ სელტიქსის“ მწვრთნელ რიკ პიტინოს დაურეკეს და შემაშფოთებელი ახალი ამბავი აცნობეს. იმ დილით ბოსტონის გარეუბნის ღამის კლუბში „სელტიქსის“ ერთ-ერთი ლიდერი პოლ პირსი დაეჭრათ. ახლა „სელტიქსი“ იტყობინება, რომ კალათბურთელი სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და პირსი მოახერხებს რეგულარული სეზონის პირველ მატში თამაშს. ასე რომ, მის გულშემატკივართ სანერვიულო არაფერი აქვთ.

პოლ პირსს გაუმართლა. იმ ავბედით ღამეს საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, მისმა რამდენიმე ჭრილობამ და თავზე ვეება იარამ გვარიანად შეაშფოთა ექიმები, ამას ისიც დაერთო, რომ ეს „კარგად დამუშავებული“ ორმეტრიანი ზანგი ახმახი რამდენიმე საათს გონს ვერ მოვიდა. როგორც შემდეგ გაირკვა, პირსისთვის რამდენჯერმე ჩაურტყამთ დანა, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც თავზე ბოთლი გადაუმტვრევიათ და წაუქცევიათ. დაკავებულია დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი. თავდაპირველად სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ პირსი საერთოდ გამოეთხოვებოდა კარიერას. მაგრამ იგი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული და იოლად გადარჩა. რამდენიმე დღის წინ პირსი საავადმყოფოდან გამოწერეს, თუმც კალათბურთელს დაახლოებით ორი კვირის მანძილზე ვარჯიში ეკრძალება.

რა მოხდა იმ ღამეს, ამაზე პირსს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული. დუმს მისი თანაგუნდელი ტონი ბათიც, ვისთან ერთადაც იმყოფებოდა პირსი ღამის კლუბში. „ბედნიერი ვარ, რომ პოლს ფეხზე ვხედავ“ — მხოლოდ ამასღა ამბობს ინციდენტის თვითმხილველი ბათი.

პოლ პირსი „ბოსტონის“ მეორე ლიდერია ანტუან უოლკერის შემდეგ. წინა სეზონში მისი შედეგიანობა მატჩში საშუალოდ 19,5 ქულა იყო, თუმც ახლა მას ამდენის გაკეთებას არავინ მოსთხოვს. „რა თქმა უნდა, ეს სამწუხარო ამბავია, მაგრამ პოლის ჯანმრთელობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი თამაში. კალათბურთელს, რომელსაც რამდენჯერმე დანა ჩაარტყეს, ერთ თვეში ფორმაში ყოფნას ვერ მოსთხოვ“ — თქვა მისმა დამრიგებელმა რიკ პიტინომ.

„ასეთი რამ შეიძლება ნებისმიერს შეემთხვას“ — ეს პირსის თანაგუნდელი კენი ანდერსონის სიტყვებია. მას კვერს უკრავს ლეგენდარული ბოსტონელი ბილ რასელი. „ეს ქვეყანა სავსეა ადამიანებით, რომლებიც მზად არიან, ზურგში დანა ჩაგცენ.“

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

C R O C O

დროებით შეჩერდა კროკოს ბიუროს მუშაობა

ქუთაისში

მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება

ბათუმში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ახალ მისამართზე: მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გაჩოიცვლოს ტალაულში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

კუკის ნატერფალზე

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საკმაოდ დაიწერა, ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება და ითქმება, მაგრამ ოლიმპიურ სარბიელს მიღმაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, სერიოზული და სასეირო ამბებიც ხდებოდა. სიდნეიში აკრედიტებული სარბიელელი ავთანდილ გურასაშვილი დღეიდან გთავაზობთ წერილების სერიას რუბრიკით „კუკის ნატერფალზე“.

„ლოცმანის“ ჩანაწერები

იეღოველები ქართველებს ავსტრალიაშიც არ ასვენებენ

ქაშაკაშვილი ავსტრალიის კენწეროზეც ასულა

მენლიდან, ჩვენი საცხოვრებელი ადგილიდან, სიდნეის ცენტრამდე ყოველდღე დღისით თუ ღამით, იმდენი ვიცურეთ გემით, რომ მთელი ეს ვება ყურე თავის კუნძულებიანად შემოვიარეთ. ამ ყურის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეყურეებშიც შევცურეთ, რადგან ჩვენი გემი აფროსანთა ოლიმპიურ ტრასებს ერიდებოდა, ისინი კი, სხვადასხვა კლასის იახტსმენები, იმდენი იყვნენ, რომ მთელი ყურე მათი აფრებით მოფენილიყო.

ერთი სიტყვით, იმდენი ვიცურეთ ადმ-დაღმა, ისე კარგად შევისწავლეთ მთელი ყურე, რომ უკვე ლოცმანებად გამოვდგებით.

ღამღამობით, როცა შინ ვბრუნდებოდით, ორ-ორი წყვილი თოლია ჩვენს გემს აედევნებოდა ხოლმე და მენლის ნავსადგომამდე სულ ფრენა-ფრენით გვაცილებდა. იმ ღამეს თოლიების ადგილი პოლიციელთა პატარა კატარღებმა დაიკავეს. ამ წყნარი ოკეანის ყურეში ისეთი ყალყზე შემდგარი ტალღები იყო, რომ ჩვენი გემი ვეება აკვანივით ირწეოდა, მის კედლებს ჭრაჭუნი გაუდიოდა და კარებები აქეთ-იქით ეხეთქებოდა, ის პოლიციელთა კატარღები კი ესკორტობას შეუპოვრად არ იშლიდნენ. დროდადრო, როცა გემს ფსკერიდან ტალღა ეცლებოდა, სადღაც უკუნეთში კიჩოთი ეხეთქებოდა. ამ დროს პოლიციელთა კატარღა პირიქით, სადღაც ცაში აიტყორცნებოდა ხოლმე. ერთხელაც ნაფოტივით ისეთ სიმაღლეზე ავარდა, რომ ვიფიქრე, ჩვენს გემს ზემოდან დაასკდება-მეთქი.

ახლა პოლიციელთა ის კატარღა დროებით ცაში ატყორცნილი დავტოვოთ და, რაკი სტიქიაზე ჩამოვარდა სიტყვა, მასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო ამბავს გამცნობთ.

სიდნეიში ჩვენთან ერთად ჩამოფრინდა რუსთაველი მთამსვლელი ბენო ქაშაკაშვილი. თავის ავსტრალიურ პროგრამაზე ვერაფერი დავაცდენინეთ, მაგრამ როცა თავის მეგობართან ერთად რამდენიმე დღით გაუჩინარდა, მივხვდით, რომ ავსტრალიაში ჩამოსულ მთამსვლელს გული როგორ მოუთმენდა, კოსტუშკოზე არ ასულიყო. როცა დაბრუნებულს არ მოვეშვით, გვითხრა, კი ბატონო, ავედი, მაგრამ ეს რა გაზეთში გამოსაჭენებელია, როცა კოსტუშკო ერთი პატარა, კოხტაგორაზე ცოტა მაღალი მწვერვალია და იქ ყველა ადის, ვისაც მოესურვება. აგერ ჩემი მეგობარი მწვერვალზე არასოდეს ყოფილა, მაგრამ იოლად ამოვიდა. მთა თოვლიანი იყო. იქ სხვებიც ამოვიდნენ. ასე რომ, როცა მწვერვალზე სერიოზულ მარშრუტს გავივლი, პირველ ინტერვიუს თქვენ მოგცემთო.

მართლაც, გინდ თბილისიდან დათოვლილ უმოს მთაზე ასულხართ და გინდ კოსტუშკოზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მწვერვალი ავსტრალიის უმაღლესი მწვერვალია, მთამსვლელები კი ლამობენ ყველა კონტინენტის უმაღლესი პიკების დალაშქვრას. ვინც ასეთ მიზანს მიაღწია, დღესდღეისობით მთელს მსოფლიოში მხოლოდ შვიდი კაცია. მათ ამგვარ კოლექციაში ყველაზე პრობლემატურია აზიისა და საერთოდ დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ასვლა და ალიასკაზე აღმართული, მთელი ამერიკის უმაღლესი პიკის, მაკ კინლის დალაშქვრა. ქაშაკაშვილი ერთზეც ასულა და მეორეზეც.

— „წრის“ შესაკვრელად, თუ არ ვცდებით, აფრიკისა და ანტარქტიდის უმაღლესი მწვერვალები დაგრჩათ, არა?

— ვეკითხებით ბენო ქაშაკაშვილს, ის კი იცინის და ამბობს, „წრის“ შეკვრამდე დიდი გზაა. მე იალბუზზეც კი არ ვარ ნამყოფიო.

ჰოო, ეს უკვე „სერიოზული“ პრობლემაა — იალბუზი ხომ კავკასიონისა და მთელი ევროპის კენწეროა?!

ქაშაკაშვილისა არ იყოს, სიდნეიში ყველა თავისი პროგრამითა და გეგმებით ჩამოვიდა. ძირითადად მათ, ცხადია, ოლიმპიური თამაშები აინტერესებდათ და ბილეთებზე ასობით მეტრი სიგრძის რიგებში ოლიმპიური სიმშვიდით იდგნენ, ზოგიც სიდნეის ოპერას აწყდებოდა, სადაც მსოფლიოს „ვარსკვლავთა“ კრებული გამოდიოდა. ზოგიც საგამოფენო დარბაზებისკენ გარბოდა, რადგან იქ მსოფლიოს კულტურის საგანძურის ნაწილი ჩამოუტანიათ.



სიდნეის ყურეში



სიდნეიში, „დევიდ ჯოუნს მარკით სთრით სთორიში“ გამოფენილი იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონკურსში გამარჯვებული რვარვა საუკეთესო ქანდაკება და გრაფიკული ნამუშევარი. მათ შორის ვნახეთ თბილისელი მოქანდაკის ლევან ვარდოსანიძის ქმნილება, „სარბიელის“ მკითხველისთვის ნაცნობი „ბეისბოლი“, რომელმაც იმ კონკურსში ვერცხლის პრიზი მოიპოვა.

სიდნეიში სხვაც მრავალი რამ იყო სანახავ-მოსასმენი და ამიტომაც, ოლიმპიური თამაშების მიწურულსაც კი ქალაქს სტუმრები სულ უფრო ემატებოდნენ და ბოლოს იქ ნემსიც არ ჩავარდებოდა.

ახლა მამაო ბასილ მკალავიშვილს მივმართავ: მამაო ბასილ, გვიშველე, იეღოველებმა ქართველებს იმ მილეთის ხალხში მოგვაგნეს. იქაურები (ალბათ), ვისაც დაინახავდნენ წარწერით „ჯორჯია“, ხელში ბროშურას აჩეჩებდნენ, რომლის სათაურია: „იცი თუ არა შენ? საუკუნო სიცოცხლე, ღმერთის ჯილდოა“.

ეს ბროშურა რიგაში ქართულად დაუსტამბავთ და ღრუბლებში ატყორცნილი თოვლიანი მწვერვალით დაუმშვენებიათ. იეღოვას მოწმეებს რატომღაც საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე ამოუჩემებიათ, ფეხებში ებლანდებოდნენ და საშველად ლამის ფიცარნაგზე მედლის მომპოვებელ გიორგი ასანიძეს უხმო.

ახლა, მანამ საქართველოს ძალოსანთა თავკაცი ბუზებივით ადევნებულ იეღოველებს დაუსხლტებოდეს, დროა ცაში ატყორცნილ პოლიციელებს დაგვუბრუნდეთ.

ისინი სიდნეის პორტიდან აგვედევნენ. პოლიციელები იქ სხვა მრავალ თანამებრძოლთან ერთად სირენების წივილ-კივილით ხმელეთიდანაც და წყლიდანაც მაშინ მოვარდნენ, როცა ჩვენი გემის მოლოდინში გულგაწვრილებულნი ვიყავით. პოლიციელთ შორის ქალებიც იყვნენ. კაცები ფრიად სერიოზული გამომეტყველებით მოცვივდნენ, ახალგაზრდა ქალები, კი რომლებსაც პოდიუმზე გამოსვლა უფრო მოუხდებოდათ, ხელბორკილებს, იარაღსა და ტაკუნებს ერთდროულად ისე ათამაშებდნენ, თითქოს სცენაზე პოლიციელობანა გაუმართავთო.

ასე იყო თუ ისე, ჩვენს გემს ხმელეთიდანაც და წყლიდანაც ალყა შემოარტყეს. იქიდან ხალხი თითო თითოდ გამოუშვეს, ლამის გამადიდებელი შუშით შეათვალიერეს და თან გემზე გამალებულნი დარბოდნენ და რაღაცას ეძებდნენ. მერე იქიდან ერთმა პოლიციელმა ჩანთა გადმოიტანა და წინ ხელგაწვდილს ისე მოჰქონდა, თითქოს წურწურით წყალი გასდისო. უკან ერთი ნაყლაპი ჯელელი მოჰყვებოდა და ოხუნჯობის ხასიათზე დამდგარი თითით იმ ჩანთაზე მიგვანიშნებდა. თან გაიძახოდა, „ბუჰ, ბუჰ!“-ო

სხვათა შორის, ხალხს, მათ შორის ჟურნალისტებს, აქ ისე გულმოდგინედ არ გვამოწმებდნენ „რენტგენის“ სხივებში და არც ჩანთებს გეიქოებდნენ, როგორც ატლანტაში. და მაინც, ატლანტაში ნაღმი იბუქა, რომ ცაცი იმსხვერპლა და 150-ზე დაამუტა, აქ კი არც იმ ჩანთას უქუხია და არც სხვას — ალბათ იმიტომ, რომ უშიშროების წარმომადგენლებმა დროზე დაიჭირეს თადარიგი.

გეხსომებათ, მათ სიდნეის ატომურ ელექტროსადგურზე თავდასასხმელად გამიზნული რუკა აღმოაჩინეს. მანამდე, ეტყობა, იქაურმა პოლიციამ მძარცველებიც განაიარაღა.

რაკი სიტყვა მძარცველებზე ჩამოვარდა, ბარემ ესეც ვთქვათ — სიდნეი ავსტრალიის ქალაქებს შორის ლიდერობს შეიარაღებული მძარცველების რაოდენობით, მაგრამ ისინი, ეტყობა, იარაღს არც იყენებენ, რადგან სტატისტიკის მიხედვით მელბურნი პირველია თავდამსხმელებით, ბრისბენი კი ლიდერობს თავდამსხმელ-მკვლელთა რაოდენობით, ადელაიდა — ბავშვთა, პერტი კი — მანქანათა გამტაცებლებით.

სტატისტიკა — სტატისტიკად, მაგრამ დავბრუნდეთ სიდნეიში, სადაც სიმშვიდეა. არადა, ამ ორწელიწადნახევრის წინათ გავრცელდა ხმები, თითქოს სიდნეის ოლიმპიადაზე უშიშროების მხრივ ხარვეზები იქნებაო, თუმცა ეს ამბავი თამაშების ორგანიზატორებმა უარყვეს. მანამდე გაზეთი „კანბერა თაიმსი“ იუწყებოდა, რომ სამხრეთ უელსის შტატის პოლიციასა და ფედერალურ სააგენტოს შორის უთანხმოებამ დაბადა ეჭვი, რომლის მიხედვით ოლიმპიურ თამაშებზე ყველაფერი რიგზე ვერ იქნებაო.

მაშინ სიდნეის მშენებარე ოლიმპიურ ბაზებთან დამარხული დიდძალი საბრძოლო მასალა და დაკანგული იარაღი აღმოაჩინეს, მათ დამმარხველსა და პატრონს კი ვერ მიაგნეს. პრესაში გამოჩნდა ცნობა, თითქოს ეს არსენალი პირველი მსოფლიო ომის დროსაა დამარხული, მაგრამ ნაპოვნში საკმაოდ იყო 200-კილოგრამიანი საავიაციო ბომბი. არადა, პირველი მსოფლიო ომისას ასეთი წონის ბომბი კი არა, თვითმფრინავიც არ არსებობდაო, ირონიით ამბობდნენ ექსპერტები.

ვინ იცის, იქნებ ის ბომბები სიდნეის ატომური ელექტროსადგურის ასაფეთქებლად იყო გადამალული.

ასე იყო თუ ისე, პოლიციელებმა ის ჩანთა რომ წაიღეს, მათი მრავალი კოლეგის თანხლებით მენლისკენ დავიძარით. ერთნი რომ კატარღებით მოგვაცილებდნენ, მეორენი თავად გემზე იყვნენ და იმ აჯაგრულ ტალღებზე ხათქა-ხუთქით მოქანავე გემბანზე გამუდმებით კიდევ რაღაცას დაეძებდნენ, მაგრამ ვერც ვერაფერი იპოვეს, არც არაფერი აფეთქებულა და პოლიციელთა ის კატარღაც, ცაში რომ ავარდა, ჩვენი გემის საბურავის ნაცვლად ისევ ტალღებში შთაინთქა და უკან ამოყურყუმელავდა.

სანაპიროს კი ტალღები ისევ გაავებულნი ეხეთქებოდნენ.

გამთენიისას ეს სანაპირო სერფინგის მოყვარულებით გაივსო. ისინი ხომ პოსეიდონის სამეფოს აბობოქრებას სულმოუთქმელად ელოდნენ.

ავთანდილ გურასაშვილი
სიდნეი-თბილისი
ავტორის ფოტოები



ამათ ოლიმპიადის სტუმრობას ტალღების მოვარდნა ურჩევნიათ

პრინცმა ჰამედმა ქაღალდის კოკო იუკადრისა

უდაბნოს ქარიშხალი გარეკას გარიერთან იწვევს

საჩემპიონო ტიტლზე მოკალათებული ნასიმ ჰამედი ქამრის ნებით დათმობას აპირებს

უდაბნოს ქარიშხალი, პრინცი ნასიმ ჰამედი ხუთი წელიწადია ყველას ამარცხებს. 1995 წელს, კარდიფში სტივ რობინსონი რომ სცემა და WBO-ს ქამარი შემოირტყა, მას მერე თხუთმეტმა მოინდომა მისი ყბების დალეწვა, მათგან ათი მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მაგრამ რინგიდან ყველა თავდახრილი გაბრუნდა. სულ ჰამედს 35 ბრძოლა აქვს გამართული. ოცდათხუთმეტივე მოიგო, თან 31 ნოკაუტით, მაგრამ, დღეს... უტიტულოდ არის.

ამის ახსნა მარტივია. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც WBO-მ ნასიმს ახალი მოწინააღმდეგე, იშტვან კოვაჩი შეურჩია, ამერიკული საკაბელო ტელევიზიის ხაზინამ სახელწოდებით HOME BOX OFFICE, რომელსაც მოკლედ HBO ვუწოდოთ, ცხვირი აიბზუა, ეგ ბრძოლა რა გადასაცემია, ნუთუ პრინცისთვის ცოტა ძლიერი მოწინააღმდეგის არჩევა არ შეიძლებოდაო და პრინცმაც კვერი დაუკრა. ერთი სიტყვით ბრძოლა ჩაიშალა, WBO კი გაბრაზდა და ჰამედს თავისი ქამარი ჩამოართვა.

ქამარჩამორთმეული ჰამედი თან აღშფოთდა, თან არ აღშფოთებულა. ერთი მხრივ მან განაცხადა: „კოვაჩთან ჩხუბზე უარი იმიტომ ვთქვი, რომ ჩემი სურვილი უმლიერესებთან ბრძოლაა, საკრივო ორგანიზაციების გამოგონილ, ოქმის მეტოქეებთან კი საქმის დაჭერა არ მსურს. მე ის კაცი ვარ ხუთი წლის მანძილზე WBO-ს ტიტულს რომ ატარებს, დამარცხებული ჰყავსა WBO-ს, IBF-ის, WBA-ს და WBC-ს ჩემპიონები და დამტკიცებული აქვს, რომ ქვემსუბუქ წონაში ყველას სჯობია. ხოლო ისეთი ხალხი, როგორებიც არიან დერიკ გეინერი, პოლ ინგლი და გატი ესპადასი, საკრივო პოლიტიკის საჩუქარია და სანამ ნაღდ მოკრივეს არ შეხვდებიან, ქაღალდზე არსებობენ“.

მეორე მხრივ პრინცის ძმამ, იმავდროულად ბიზნეს-მენეჯერმა და დიდი გულშემატკივარმა WBO-ს წერილი მოწერა: „ვინაიდან, ჩვენს შორის ბოლო ხუთი წლის მანძილზე ნამოყალიბებული ჩემებული უფლებათობის ხელყოფა არ გვსურს, მინდა დაგიდასტუროთ, რომ ნასიმი ჩემპიონის ტიტულს თმობს, მაგრამ კვლავაც მოიწადინებს მის მოპოვებას, რისთვისაც გთხოვთ, არც თუ შორეულ მომავალში ბრძოლა დაუნიშნოთ“.

ახლა, ხალისისთვის ისევ უდაბნოს ქარიშხალს მოვუსმინოთ:

„ქამრები აღარ მაინტერესებს, უბრალოდ საუკეთესოებთან ჩხუბი მინდა. ხალხს ვერ მოატყუებ. ხალხმა იცის, რომ ყველაზე მაგარი ვარ და ჩემგან ნაღდი კრივის ნახვა სურს“.

ერთი სიტყვით ნასიმმა ხმაურის ატეხვა გადაწყვიტა და მექსიკელ ჩემპიონს, მარკო ანტონიო ბარერას შეუთვალა, მოდი, სადღაც მარტში ლას ვეგასში შემხვდი. მე და შენ დიდ ჩხუბს გავმართავთ და ჩვენს შორის გამარჯვებულმაც დიდი ჩემპიონის სახელი ალალად ატაროსო.

ყველაფერმა ამან კი იშტვან კოვაჩი დაამცირა და მისი გერმანელი პრომოუტერი კლაუს პეტერ კოლი შეურაცხყო.

„ჰამედი რაღაცას ჯამბაზობს, ოღონდ კი კოკოსთან ჩხუბს თავი აარიდოს და...“ — თქვა კოლმა.

ბოლოს კი, ორიოდ სიტყვით იმაზე, თუ ვინ არის ეს თითქმის მასხრად აგდებული კოკო ალბათ, გვარ სახელით ხვდებით, რომ იშტვან კოვაჩი უნგრელია. ის ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია და 1997 წელს მოყვარულთა შორის გახდა მსოფლიოში საუკეთესო, მერე კი პროფესიონალებში გადავიდა და თვით პრინცთან ჩხუბი მოუნდა...

ტუტა სიხარულიძე

დობა, ერთობა, თავისუფლება

ჩოგბურთში დედაკაცთა ემანსიპაციისა და მამაკაცებთან უფლებრივი გატოლებისკენ ბრძოლაში კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა — გაისად ავსტრალიის ღია პირველობიდან მშვენიერი და ძლიერი სქესის წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით მწვანეებს გააყოლებენ ხელს.

ბოლო წლებში ზემოხსენებული პრობლემა ჩოგბურთში მეტად მწვავედ დადგა. ანა კურნიკოვას, დები უილიამსებისა და მარტინა ჰინგისის გამოჩენის შემდეგ ქალთა ჩოგბურთის პოპულარობა შესამჩნევად გაიზარდა, რასაც მათ საპრიზო ფონდებზე ვერაფრით იტყვი — დიდი სლემის ტურნირთა უმეტესობაზე (აშშ-ის ღია პირველობის გარდა) დიაცები მაინც ნაკლებ ფულს იღებენ.

შარშან WTA ტური პროტესტის ნიშნად უიმბლდონის ორგანიზატორებს ბოიკოტითაც კი დაემუქრა, თუმცა მდგომარეობა უკეთესობისკენ მაინც არ შეიცვალა. როგორც ეტყობა, სინდისმა ინგლისელების ნაცვლად ავსტრალიელები შეაწუხა. გუშინ ეროვნული ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯეფ პოლარდმა საგაისო „მეიჯორზე“ დასარიგებელი თანხის რაოდენობა გააცნო საზოგადოებას და აღმოჩნდა, რომ ქალებმა შესამჩნევ პროგრესს მიაღწიეს.

თუ ვაჟთა საპრიზო ფონდი წინა წელთან შედარებით სულ 10 პროცენტით გაიზარდა, იგივე მაჩვენებელმა ქალთა შორის 15,8 პროცენტი შეადგინა. შედეგად სქესთა წილი გათანაბრდა და 2001 წელს ერთეულებში ორივე ჩემპიონი 450-450 ათას დოლარს მიიღებს. უკანასკნელად ეს ავსტრალიაში 1995 წელს მოხდა.

„ჩვენი ტურნირი და საჩოგბურთო ცენტრი ისე გაიზარდა და მომძლავრდა, რომ ფინანსურად უკვე შეგვიძლია, თავს ამის უფლება მივცეთ“ — განაცხადა პოლარდმა.

ქალთა WTA ტურის მამაკაცმა თავკაცმა ბარტ მაკგუაიერმა მომხდარი ისე აღიქვა, როგორც ომში გამარჯვება და მცირე ტირადაც გააშხადა: „ბევრ პროფესიაში საუკუნეების მანძილზე ქალებს კაცებზე ნაკლებს უხდიდნენ და ამაში საამაყო არაფერია. დიდი სლემის ტურნირები უნიკალური რამ არის. იქ საჭიროა ძალა, ტექნიკა, სილამაზე, ამტანობა და ემოციები, ქალებს კი კაცებზე არანაკლები წვლილი შეაქვთ ამაში“.

თუმცა ავსტრალიის ღია პირველობაზე სიახლეები ამით არ ამოიწურება. ცენტრალურის გარდა 2001 წლიდან კიდევ ერთი კორტი აღიჭურვება მოძრავი სახურავით. „ვოდაფონ არენის“ დასრულება წლევანდელი ტურნირისთვის ვერ მოესწრო, სამაგიეროდ საგაისოდ ეს 10-ათასკაციანი სტადიონი მზად იქნება.

კიდევ ერთი სიახლე უკვე თავად საჩოგბურთო მხარეს შეეხება. შერეული წყვილების ტურნირზე მატჩები განსხვავებული სისტემით ჩატარდება: სეტებში თანაბრობის შემთხვევაში მესამე, გადამწყვეტი ხელის ნაცვლად გამარჯვებულის ვინაობას ტაიბრეიკი გამოავლენს.

ისღა დაგვრჩენია, შეგახსენოთ, რომ სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირი გაისად მელბურნში, 15-28 იანვარს გაიმართება.

რითი იმსახურებს ანა კურნიკოვა კაცებზე ნაკლებ ფულს?

მიზეზ-მიზეზ კორტს...

ვენა. ავსტრია. „CA ტენის ტროფი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $

ვენაში მიმდინარე პრესტიჟულ „CA ტროფის“ წლეულს ბედი არ წყალობს: ჯერ იყო და, ტურნირის დაწყებამდე პიტ სამპრასმა და ლეიტონ ჰიუიტმა იუარეს ჩასვლა, თამაში გაჩაღდა და პირველივე წრეს ყველა ნამდვილი ვაკრსკვლავი შეეწირა.

სისხლი პირველმა ATP ტურის ერთ-ერთმა ყველაზე უშნო ჩოგბურთელმა (შეგიძლიათ, ერთ-ერთი მოაშოროთ კიდეც) ნიკოლა ესკუდემ დაღვარა. პირველი სეტის წაგების მიუხედავად, ფრანგი აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონ მარატ საფინს არ შეუშინდა და სამსაათნახევრიან მარათონულ შეხვედრაში 5:7, 6:3, 7:6 (7:5) მოუგო.

„წინა ორი კვირა ვისვენებდი და ფორმაში ჩადგომა ძალიან გამიჭირდა — თავი იმართლა 20 წლის რუსმა, რომლის მეორე მოწოდებებს ესკუდემ სულ მუსრი გაავლო — აქ „ჩემპიონთა რბოლისთვის“ საჭირო ქულების დაგროვებას ვაპირებდი. ჩემი მიზანია, პირველი ჩოგანი გავხდე და ოდესმე შვილებს ვუთხრა, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ვიყავი. ნიუ იორკში გამარჯვება ჩემი კარიერის მწვერვალი კი არა, მხოლოდ დასაწყისია, სტიმული ცხოვრების ბოლომდე მეყოფა“.

საფინის (1) ბედი გაიზიარა მისმა თანამემამულემ, მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ევგენი კაფელნიკოვმაც (4). გრეგ რუზეიკისთან შეხვედრის ხანმოკლე პერიოდებში სოჭელი ფანტასტიკურად თამაშობდა, 210 კმ/სთ-ით დარტყმულ მოწოდებებს არანაკლები სისწრაფით აბრუნებდა უკან, მაგრამ უფრო ხშირად უაზრო, სულელურ და ორმაგ შეცდომებს უშვებდა. შედეგად მერვედფინალში ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ინგლისელი გავიდა — 6:4, 6:7 (3:7), 6:3.

კაფელნიკომა ბრაზი ორგანიზატორებზეა გადმოანთხია: „ეს საფარი უბრალოდ სასაცილო შთაბეჭდილებას ტოვებს. დარბაზში კორტები სწრაფი უნდა იყოს, აქ კი გეგონება, როლან გაროსზე თამაშობ. ძალიან იმედგაცრუებული ვარ, იმედი მქონდა, კარგად ვითამაშებდი.“

უიღბლო გამოდგა ვენის „შტადტჰალეს“ კორტები შვედებისთვისაც. მესამედ განთესილმა ტომას ენკვისტმა სლავა დოსედელთან მატჩის პირველ სეტში ფეხის ტრავმა მიიღო და თამაში ვეღარ გააგრძელა, მაგნუს ნორმანმა კი შვეიცარიელ როჯერ ფედერერთან შეხვედრაში აურაცხელი შანსი გაუშვა ხელიდან და 6:4, 6:7 (4:7), 4:6 წააგო.



REUTERS ფოტოდან

ნიკოლა ესკუდე

„ბოლო ხანებში თავდაჯერება დავკარგე. წლეულს იმდენი ვითამაშე, ფსიქოლოგიურად გადავიღალე. სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში პირველობა მქონდა განზრახული, მაგრამ ასე არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს“ — პესიმისტურად განეწყო სკანდინავიელი.

პირველი წრე: ტომი ჰაასი (გერმანია) — ალეჯს კორეჩა (ნ, ესპანეთი) 6:1, 6:0; რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) 6:4, 6:4; სიდრიკ პიოლინი (8, საფრანგეთი) — ზბინეკ მლინარიკი (ავსტრია) 6:3, 6:2; არნო კლეგანი (საფრანგეთი) — ფან მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:0.

ცეურიხი. შვეიცარია. SWISSCOM CHALLANGE. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1,1 მილიონი $

მერვედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ელენა დოკიჩი (ავსტრია) 6:3, 6:2.

პირველ წრეში: ჯენიფერ კაპარიატი (6, აშშ) — ლინა კრასნარუცკაია (რუსეთი) 5:7, 6:3, 7:6 (8:6); ანაზდა კუტცერი (ნ, სამხრეთ აფრიკა) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:4, 6:1; ელენა დეემენტიევა (8, რუსეთი) — რუქსანდრა დრეგემორი (რუმინეთი) 6:3, 6:4; ბარბარა შეტი (ავსტრია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:0, 6:1.

ანთანდილ სვანიძე

ბიკავ და შუმიმ შამპანურით დაიწყეს, ღვინით და ლუდით გააგრძელეს, სიმღერით დაასრულეს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას „სუძუკაზე“ მიხაელ შუმახერის ტრიუმფალური გამარჯვებით „ფერარის“ უსაშველოდ გაჭიანურებულ ლოდინს როგორც იქნა, ბოლო მოეღო. იტალიელთა ეროვნულმა სიამაყემ 21-წლიანი ხელმოცარვის შემდეგ დაიბრუნა უძლიერესის ტიტული და 21-ე საუკუნეში თავაწეული შეაბიჯებს.

გერმანელმა სოლისტმა იაპონიაში თავისი მეათე სტუმრობით „ჯუდერიას“ სამეფო რბოლების მეათე გვირგვინი მოუპოვა. წინა ცხრა ფორმულის ისტორიის საწყის 30 წელზე მოდის. მერე კი ის წარუმატებლობის ორი ათწლეული გაიწელა, როცა მხოლოდ ხუთიოდე მეორე ადგილი გაახერხეს. პრაქტიკულად ყველა სხვა გუნდისთვის (ერთი-ორის გამოკლებით) ეს შედეგი ოცნების ზღვარი არის და იქნება. მუდამ მაქსიმალურ მიღწევაზე დამიზნებული „ფერარისთვის“ ყოველი ასეთი სეზონიც კი მორიგ ჩავარდნად ითვლებოდა. უკანასკნელი ჩემპიონი 29 წლის სამხრეთაფრიკელი ჯოდი შექტერი იყო (1979). ბისხლისფერ ბედაურებს 21-წლიანი ჯადო შუმახერმა გასულ კვირაძალს ახსნა.

იმავე საღამოს კი შუმიმ სადღესასწაულო წვეულებაზე დაპატიჟა უმთავრესი კონკურენტი მიკა ჰაკინენი, რომელმაც რბოლის შემდეგ პირველმა და თანაც ბუტად თბილად მიულოცა მესამედ გაჩემპიონება. რალფ შუმახერი, ცხადია, სტუმრებში არ ითვლება.

სუფრაზე შამპანურის, ღვინისა და, რასაკვირველია, ლუდის ზღვა შეისვა. უმძიმესი სეზონის დაძაბულობა ყველას მოეხსნა და გულიანადაც მოილხინეს. ფორშულაზე კრინტიც არავის დაუძრავს. წითლები და ვერცხლისფერები ერთად აღნიშნავდნენ ზეისტორიულ ტრიუმფს.

მიხაელი, მისი მეუღლე კორინა და რალფი თავიდან ლუდის უზარმაზარ კონტეინერთან მოკალათდნენ. სისხლისფერების შეფმა ჟან ტოდტმა და გამარჯვების ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა, ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა შამპანური არჩიეს. იაპონიაში არ იმყოფებოდა „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დი მონტეზემოლო — გადამწყვეტ მომენტში ჩემი ავტოდრომზე ყოფნა გუნდს ცუდად აქვს დაცდილიო.

სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ მოსისხლე მტრებმა — მიხაელმა და მიკამ კაცურად ადღეგრძელეს ერთმანეთი და ვახტანგურად შესვეს შამპანური, მერე კი ერთად იმღერეს „DEEP PURPLE“-ის ცნობილი „კვამლი წყალზე“, ბოლო ბრაუნმა არანაკლებ პოპულარული „ჩვენ ვართ ჩემპიონები“ შემოსძახა.

შუმახერი მეექვსე სამგზის ჩემპიონია, ამასთან თითქმის ყველაზე ახალგაზრდა. ცხრილში ნაჩვენებია, თუ ვინ რა ასაკში დაეუფლა მესამედ ტიტულს და საამისოდ რამდენი სეზონი დასჭირდა. ცნობისთვის: ხუან-მანუელ ფანხიო ხუთგზის, ალენ პროსტი კი ოთხგზის გამარჯვებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ასაკი წოდების მესამედ მოპოვებისას.

აირტონ სენა	ბრაზილია	1988, 90, 91	31	8
მიხაელ შუმახერი	გერმანია	1994, 95, 2000	31	9
ჯეკი სტიუარტი	ბრიტანეთი	1969, 71, 73	34	9
ალენ პროსტი	საფრანგეთი	1985, 86, 89	34	9
ნიკი ლაუდა	ავსტრია	1975, 77, 84	35	12
ნელსონ პიკე	ბრაზილია	1981, 83, 87	35	10
ჯეკ ბრაბემი	ავსტრალია	1959, 60,66	40	12
ხუან ფანხიო	არგენტინა	1951, 54, 55	44	5

გარდა ამისა, „ფერარიმ“ წლეულს უკვე ცხრა დიდი პრიზი მოიგო და 156 ქულა დააგროვა. ორივე ეს შედეგი გუნდისთვის სარეკორდოა. ფანტასტიკური მიღწევები კი სენა-პროსტის დუეტმა „მაკლარენს“ 1988 წელს მოუპოვა — 15 გამარჯვება და 199 ქულა.

„წითლებმა“ იაპონიაში „უილიამსის“ ზედიზედ 17-პოდიუმიან სუპერმაჩვენებელს გადააჭარბეს. ფრენკ უილიამსის გუნდმა პროსტისა და დეიმონ ჰილის შემადგენლობით ეს რეკორდი 1993-94 წლებში დაამყარა. ამიერიდან კი შარშან, მალაიზიაში დაწყებული სერია 18 საპრიზო ადგილს ითვლის და მიხაელ შუმახერს, რუბენს ბარიკელოსა და ედი ირვინს ეკუთვნის.

„სუძუკაზე“ არც „მაკლარენი“ დარჩენილა ხელცარიელი. ჰაკინენის უსწრაფესი წრე მე-100 გახდა მისი გუნდის ისტორიაში და მე-11 სეზონში, რითაც „მაკი“ ლიდერ „უილიამსს“ წამოეწია.

დასასრულს, ნაკლებად სასიამოვნოზე: გერმანული პრესის ცნობით, მიხაელს მომავალ ხანში არც ისე რთული ოპერაცია ელის — „სილვერსტოუნზე“ შარშანდელი ავარიის შემდეგ მარჯვენა ფეხში ჩადგმული 30-სანტიმეტრიანი პლატინის დროს ამოსაღებად.

ასეთ შემთხვევაში ეს ჩვეულებრივი პროცედურაა და საშიშროებას არ წარმადგენს, თუმც შუმი ოპერაციის შემდეგ იძულებული იქნება, ორიოდე თვე დასვენოს, რამაც შეიძლება მის მომავალი სეზონისთვის მზადებაზე უარყოფითად იმოქმედოს.

ირაკლი ნიკოლაძე

სახენაიარევი

ულრიხი გაკერეს და არდადაგებზე გაუშვეს



ფელომრბოლთა მსოფლიოს ჩემპიონატი ოლიმპიური ჩემპიონის გარეშე ჩაივლის. სიდნეიში ათიოდე დღის წინ ჯგუფური რბოლის მომგები გერმანელი იან ულრიხი პლუეიში პელოტონში აღარ იქნება. „ტელეკომის“ ლიდერი მსოფლიოს თასის მეცხრე ეტაპზე წაიქცა და დაშავდა. პარიზი — ტურის დასრულების შემდეგ მისი პლუეიში წაუსვლელობა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ გუშინ ექიმებმა ულრიხს კატეგორიულად აუკრძალეს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა.

1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ და შარშანდელი „ვუელტას“ მომგებმა წლევანდელი სეზონიც ამით დაამთავრა. სეზონი, რომლის მანძილზეც მას პატარ-პატარა ტრავმები არ მოჰკლებია, მაგრამ ასე არ დასახიჩრებულა. წაქცევისას როსტოკში დაბადებულ-გაზრდილმა, აწ კი ფრაიბურგის მახლობლად მცხოვრებმა მრბოლმა სახე დაიზიანა. მისი ტუჩისა და ლოყის ხუთსანტიმეტრიანი ჭრილობის გაკერვას ექიმებმა დიდი დრო და არანაკლები ძაფი დაახარჯეს.

ასე რომ, შარშან ინდივიდუალურ რბოლაში მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნების ნაცვლად ულრიხს იმაზე მოუწევს ფიქრი, თუ სად გაატაროს იძულებითი არდადეგები.

გაგი გურული

სამერმისო ტიტული დაჯავშნულია

დღეს — კენი, ხვალ — ვალენტინო

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე სამწლიანი შეტევა, როგორც იქნა, გამარჯვებით დასრულდა — ამერიკელმა მოტომრბოლმა კენი რობერტსმა ბრაზილიის დიდ პრიზზე ერთობ მოცრძალებული მეექვსე ადგილის დაკავებით საწადელს მიაღწია. „სუძუკი“ და რობერტსი კლას 500-ში მსოფლიოს ჩემპიონები არიან!

კენი რობერტსი

— რა სულზე მოასწრო! — იხუმრა ვიღაცამ და ზოგისთვის თუ გაუგებარი იყო ამ სამი სიტყვის მნიშვნელობა, პოდიუმთან თავშეყრილთა უმრავლესობა ღიმილით შეხვდა ჟურნალისტის მოსწრებულ ფრაზას.

ამ დროს პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე იმ რბოლაში გამარჯვებული იტალიელი ვალენტინო როსი იდგა და გაბადრული სახით ისმენდა მშობლიურ ჰიმნს. სწორედ ეს 21 წლის იტალიელი იყო ზემოხსენებული ქარაგმის მთავარი პერსონაჟი.

ახლა კი მოვხსნათ ყველა ფრჩხილი და ბრჭყალი: ვალენტინო როსიმ მოტოკარიერა 17 წლისამ დაიწყო. სულ ერთი წელიწადი დასჭირდა ოქროსკულულებიან პრინცს, რომ კლას 125-ში ფავორიტად ქცეულიყო. შემდეგ სეზონში კი ე.ი. 18 წლისა, იგი უკვე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა!

აღმასვლა გაგრძელდა. როსი უფრო პრესტიჟულ 250-იანებში მიიწვიეს. აქაც სულ წელიწადი დასჭირდა, რათა ლიდერთა შორის მოხვედრილიყო. შემდეგი სეზონი კი ფაქტობრივად კონკურენციის გარეშე ჩააოავა — 20 წლის ბიჭი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონად იქცა.

და აი, ყველაზე პრესტიჟული 500-იანების კლასი. წლეულს აქ მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი გამოდიოდა — 500-იანების შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ალექს კრივილე და სამი იტალიელი — მაქს ბიაჯი, ლორის კაპიროსი, ვალენტინო როსი. საკმად უფერული სტარტის შემდეგ სეზონის ბოლოს როსი ჩვეულებისამებრ რბოლას რბოლაზე იგებს და ყველაფრით იგრძნობა, რომ ტრადიცია გაგრძელდება — ამერიკელმა მართლაც რომ სულზე მოასწრო, უკლებლივ ყველა სპეციალისტის აზრით მომავალი სეზონი ახლა უკვე თავხოტორა, მუდამ ეშმაკურად მობღიმარი იტალიელისაა.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ეტაპიღა რჩება, სატურნირო ვითარება კი ასეთია:

ვალენტინო როსი

ირაკლი ბერიაშვილი

125 კუბ.სმ

1. რობერტო ლოკატელი (იტალია)	205 ქ
2. იუიჩი უი (იაპონია)	197
3. ემილიო ალზამორა (ესპანეთი)	170
4. მასაო აზუმა (იაპონია)	138
5. მარკო ჯიანსანტი (იტალია)	129

250 კუბ.სმ

1. ოლივიე უაკი (საფრანგეთი)	241
2. შინი ნაკანო (იაპონია)	232
3. ტორუ უკავა (იაპონია)	218
4. დაჯირო კატო (იაპონია)	218
5. მარკო მელანდრი (იტალია)	132

500 კუბ.სმ

1. კენი რობერტსი (აშშ)	224
2. ვალენტინო როსი (იტალია)	173
3. ჰარი მაკკოი (ავსტრალია)	150
4. კარლოს ჩეკა (ესპანეთი)	142
5. ალექს ბაროსი (ბრაზილია)	141

ᲛᲔᲗᲘᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲣᲓᲒᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ხელბურთის მექაში, ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში, დაიწყო ვაუთა მორიგი პირველობა. რიგით მე-11 ეროვნულში ექვსი მონაწილეა — უცვლელი ჩემპიონი სტუ, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამული“, ასკ, „თბილისი“, „მართვე“ და ერთადერთი რეგიონელი, ბათუმის „მენავთობე“.

როგორც მოსალოდნელი იყო, სატურნირო ცხრილს თავიდანვე ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ჩაუდგა სათავეში. სტუ-მ ხუთივე შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი მოთამაშეები უცხოეთში გაიკრიფნენ.

ტური დასრულდა „მამულისა“ და „მართვეს“ საკმაოდ საინტერესო მატჩით. თავიდან სტუდენტები იყვნენ წინ, მაგრამ „მართვემ“, რომელიც პრაქტიკულად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებია, გარდატეხა შეიტანა თამაშში და ორი ბურთითაც დაწინაურდა, თუმცა ბოლომდე ძალა აღარ ეყო და ამჯერადაც დამარცხდა.

„მამული“ ამ დღეებში ლიტვას გაემგზავრება იქაურ თასის მფლობელ შაულიაის „უნივერსიტეტასთან“ ევროპის თასების მფლობელთა თასზე ორი შეხვედრის ჩასატარებლად.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტური კი ნოემბრის დასაწყისში თელავში გაიმართება.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

6 ოქტომბერი
** სტუ 48:27 მართვე**
მამული 27:22 მენავთობე
თბილისი 10:0 ასკ

7 ოქტომბერი
მენავთობე 23:20 მართვე
მამული 33:25 ასკ
სტუ 44:29 თბილისი

8 ოქტომბერი
თბილისი 40:33 მართვე
სტუ 44:24 მამული
მენავთობე 43:39 ასკ

9 ოქტომბერი
ასკ 36:33 მართვე
სტუ 51:32 მენავთობე
თბილისი 28:28 მამული

10 ოქტომბერი
სტუ 44:34 ასკ
თბილისი 34:33 მენავთობე
მამული 33:30 მართვე

სტუ	5	0	0	231:146	10
თბილისი	3	1	1	141:138	7
მამული	3	1	1	145:149	7
მენავთობე	2	0	3	153:171	4
ასკ	1	0	4	134:163	2
მართვე	0	0	5	143:180	0

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲰᲐᲠᲘ ᲤᲘᲚᲮᲝᲔᲜᲘ?

ᲥᲣᲠᲪᲘᲙᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲒᲓᲐᲜᲖᲔ ᲣᲨᲝᲛᲝᲓ ᲨᲔᲣᲨᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘᲐ



ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲨᲘ დასმული კითხვა სამხრეთ აფრიკის მორაგბეთა ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს ეხება, ისევე როგორც ქვესათაურში მოცემული პასუხი. უფრო დაწვრილებით კი ჰარი ჰერმან იოჰან ფილხოენის მილიონებისა და „ქურციკთა“ მწყემსად მისი გამწესების შესახებ, ქვემოთ მოგახსენებთ.

ის საკმაოდ ახალგაზრდა ჩანს (დასავლური გაგებით) მილიონერობისა და ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობისთვის, მაგრამ ორივე ეს ამბავი რეალობაა, ფაქტია, რომლის გაბათილებაც არაფერს შეუძლია. სამხრეთ აფრიკის პროვინციის, ტრანსვაალის გუნდის ყოფილი შერკინების ნახევარმცველმა ამას შრომით მიაღწია და არც ფულიანი მამის გავლენით უსარგებლია და არც ავტომატით ურბენია საყაჩაღოდ.

ჰარი ფილხოენი ორი წლის მანძილზე (1976-77) იცავდა თავისი ქვეყნის სკოლების ნაკრების ღირსებას, მომავალ წელს კი 19 წლისამ და 41 დღისამ ტრანსვაალის კვართი მოირგო, რომელსაც 1984 წლამდე აოფლიანებდა. იქ გატარებული უკანასკნელი სეზონის განმავლობაში, რომელიც ტრანსვაალისთვის მეტად უხეირო გამოდგა (მან ქარის თასზე ბოლოსწინა ადგილი დაიკავა), ფილხოენი გუნდის კაპიტანი იყო. მისი წინამძღოლობით ტრანსვაალელებმა დასავლეთ პროვინციასთან, ნარინჯისფერ თავისუფალ შტატთან და აღმოსავლეთ ტრანსვაალთან დათმეს შეხვედრები და მხოლოდ აღმოსავლეთ პროვინციას აჯობეს. თუმცა იმ სეზონში ფილხოენი მაინც საკმაოდ კარგად თამაშობდა და ტრანსვაალის გაერთიანებული გუნდის კაპიტანიც იყო, როცა ამ უკანასკნელმა სამხრეთაფრიკელი ბარბაროსები 27:19 დაამარცხა 1984 წლის სეზონის მიწურულს.

მერე კი ჰარი ფილხოენმა მოთამაშის კარიერა მიატოვა. და რადგან იმ დროს რაგბი ოდენ სამოყვარულო იყო და, შესაბამისად, მორაგბეებს სხვა პროფესიაც ჰქონდათ, ფილხოენიც ცოტა ხნით დაშორდა სპორტს. მას საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა მიღებული ეკონომიკაში და ბიზნესში ჩაერთო. ამ სფეროში კი გაცილებით დიდ წარმატებას მიაღწია, ვიდრე რაგბის მოედანზე. იგი სადაზღვევო საქმიანობით გამდიდრდა, თუმცა რაგბი მთლიანად მაინც ვერ დაივიწყა და ხანდახან სხვადასხვა გუნდს (ტრანსვაალი, ნატალი, დასავლეთ პროვინცია, კეიპტაუნი) წვრთნიდა ხოლმე.

ტრანსვაალის თავკაცი იგი 1991-1992 წლებში იყო და გუნდი ორჯერ გაიყვანა ქარის თასის ფინალში, თუმცა ორჯერვე დამარცხდა, ჯერ ჩრდილოეთ ტრანსვაალთან, მერე კი ნატალთან. მომავალ წელს სამხრეთ აფრიკის პროვინციების ჩემპიონატის ფინალში ისევ ნატალი და ტრანსვაალი შეხვდნენ ერთმანეთს და უკვე ამ უკანასკნელმა მოიგო, მაგრამ ფილხოენი კვლავ იმედგაცრუებული დარჩა, რადგან... იგი უკვე ნატალის მთავარი მწვრთნელი იყო.

ჰარი ფილხოენმა ქარის თასის მოპოვება მაინც შეძლო. 1997 წელს მისმა დასავლეთ პროვინციამ ფინალში თავისუფალ შტატს მოუგო. მომდევნო წელს ფილხოენი უკვე კეიპტაუნს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია და მალე დატოვა გუნდი. ამის შემდეგ იგი კვლავ ბიზნესით დაკავდა, მენეჯმენტის ფირმა „Edge Investment“ ჩამოაყალიბა და თავისი ქონებაც გვარიანად გაზარდა. ახლა კი ჰარი ფილხოენს „ქურციკები“ ჩააბარეს.

თუ მისი წარსულით ვიმსჯელებთ, იგი სანახაობრივი თამაშის მიმდევარი მწვრთნელია. ასე ამბობს ყველა, ვინც მას იცნობს. მისთვის ქულების მოპოვებას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონია, ვიდრე მათ არგაშვებას. ფილხოენს ტრანსვაალისა და ნატალის თამაშის მანერა უფრო შემტევი გაუხდია და იგივეს გაკეთებას, ალბათ, ქვეყნის უპირველეს გუნდშიც შეეცდება.

„ქურციკთა“ ყოფილი შერკინების ნახევარმცველი დივენ სერფონტეინი თავის ოდინდელ მეტოქეს ასე ახასიათებს: „ჩვენ ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს. იგი ძალიან ძლიერი იყო და თუ სამხრეთ აფრიკის ნაკრებში ადგილი ვერ წამართვა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან ხშირად იღებდ ტრავმებს. რაც შეეხება ფილხოენ-მწვრთნელს, ვიტყოდი, რომ სამიოდ წლის წინ მან ბრწყინვალე გუნდი შექმნა დასავლეთ პროვინციაში. „ქურციკებთანაც“ იგივეს თუ გაიმეორებს, რისი იმედიც ყველა სამხრეთაფრიკელს აქვს, დიდებული იქნება.“

სამხრეთაფრიკელ ჟურნალისტთა უმრავლესობა იმასაც ამბობს, რომ მოთამაშეობისას საკმაოდ კონსერვატორული აზროვნების ფილხოენი, მწვრთნელობისას აბსოლუტურად საპირისპიროდ გარდაიქმნაო. თუ ეს მართალია, მაშინ უნდა ველოდოთ, რომ „ქურციკები“ გაცილებით სანახაობრივად ათამაშდებიან, რისი მიღწევაც ნიკ მალეტსაც სურდა, მაგრამ არ დაეცალეს.

ბოლოს კი, კაცი, რომელიც სამხრეთ აფრიკის ნაკრების გაწვრთნას ფულის გამო სულაც არ დათანხმებია, 41 წლისაა, ცხოვრობს კეიპტაუნში და ჰყავს მომხიბვლელი მეუღლე მაგდა, რომელიც, მისივე თქმით, უზომოდ უყვარს.

ᲒᲐᲘᲝᲖ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

LONDON 2000
II ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ vs ᲙᲠᲐᲛᲜᲘᲙᲘ
0,5 — 1,5

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲔᲜ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ალექსეი შიროვის ხმა გაისმა. ეს დიდოსტატი კასპაროვსა და კრამნიკს შორის მატჩის დაწყებას აღუშფოთებია. მან მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს (ლუის სენტერო სუარესსა და გარი კასპაროვს) სასამართლოში უჩივლა მიყენებული ფინანსური ზარალის გამო. მოკლედ საქმის ვითარებაზე: კასპაროვთან შესახვედრად გამართულ პრეტენდენტთა ფინალში შიროვმა კრამნიკს ორიოდე წლის წინათ 5,5-3,5 მოუგო, მაგრამ ჩემპიონთან თამაშს მაინც ვერ ეღირსა საპრიზო ფონდის უქონლობის გამო. შიროვმა ფული ვერსად იშოვა და ამას ცოტათი იმანაც შეუწყო ხელი, რომ კასპაროვს მრავალრიცხოვან ინტერვიუებში არაერთხელ უთქვამს, შიროვთან ჩემი მატჩი სპონსორებს სულ არ აინტერესებთ, იმის მაგივრად ვიში ანანდის ხილვა ბევრად უფრო უნდათო. შიროვი ადრეც გულმოსული იყო, მაგრამ როცა ანანდის ვარიანტი ჩაიფუშა და ახლა კასპაროვის პირისპირ ზუსტად ის კაცი იხილა, ვისაც ოფიციალურად მოუგო, საერთოდ მოთმინების ფიალა აევსო. მომჩივანის პრეტენზიები მარტივია, იგი ფულად ანაზღაურებას ითხოვს იმისთვის, რაც გაუკეთეს. ალბათ, ლაპარაკია იმ თანხაზე, რომელიც შიროვს კასპაროვთან თუნდაც წაგების შემთხვევაში ერგებოდა. თანხის ოდენობა მილიონის ორი მესამედია და ზუსტად ამდენს ლონდონის მატჩის უიღბლო მიიღებს. საეჭვოა, ესპანეთიდან მიღებულ ცნობას (ქალაქ კაზორლას სასამართლოში შეტანილი საჩივარი) ემოქმედა ჩემპიონზე, მაგრამ ფაქტია: მან მეორე პარტია უსუსურად ჩააბარა და წააგო. დიდად მოულოდნელი ამბავია — ჯერჯერობით მატჩში სათამაშო ინიციატივა კრამნიკის ხელში ჩანს. პირველ პარტიაში მან შავებით იყოჩაღა და ნახევარ ქულას იოლად გამორჩა, ხოლო მეორეში თეთრებით თამაშობდა. გრიუნფელდის დაცვაში კრამნიკი ერთი შეხედვით უცნაურად მოიქცა, როცა მე-11 სვლაზე პაიკი აიღო. დღემდე არავის მოსვლია აზრად ასე უბრალოდ, პროზაულად იმ სისტემაში შავი პაიკის მოკვლა, რადგან ითვლებოდა, რომ ამით შავები დაუბრკოლებლად მოახერხებდნენ პოზიციის გათანაბრებას. ბნელი სათქმელია, მატჩისთვის მზადებისას კასპაროვმა ეს ვარიანტი რამდენად დაამუშავა, მაგრამ უკვე დაფასთან მიხვდა, რომ გაცვლები (რის გაკეთებასაც ამ დროს თეორია გვიკარნახებს) უფრო თეთრების წისქვილზე ასხამდა წყალს, ამიტომ ლაზიერთა დაღუპვას არ დათანხმდა და საკმაოდ თანაბარი პოზიცია გამოიყვანა ყიმის გვარიანი შანსით. საგანგაშო სხვა იყო: კასპაროვი ბევრს ფიქრობდა და ცაიტნოტმა შეაწუხა, ხოლო კრამნიკთან დროის უკმარისობის ზღვარზე თამაში ცუდი ტონია. გონივრული სვლებით კრამნიკმა თავისი ზედმეტი პაიკი გამსვლელად გარდაქმნა და მისი უპირატესობა ენდშპილში ძლიერ გამოიკვეთა, რასაც მოჰყვა ზედ საკონტროლო სვლების ამოწურვისას კასპაროვის შეცდომა და კაპიტულაცია მომდევნო სვლაზე. ბოლო პოზიცია დიაგრამაზე ჩანს.



მესამე პარტიაში თეთრებით კასპაროვი ითამაშებს და შეიძლება ვთქვათ, რომ მატჩის ერთ-ერთი კრიტიკული მომენტი დადგა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ᲯᲔᲠ ᲛᲝᲘᲬᲧᲘᲜᲔᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔᲡ

10 ოქტომბერი
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ — ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ 5:2
1:0 2:1 2:1
1:0 დარბი 14'18 (1); 2:0 კოიუ 22'22 (2); 2:1 კილგერი 25'08 (1); 3:1 ბრისბუა 33'38 (1); 4:1 ბრიუნე 48'03 (1); 4:2 კლირი 55'45 (1); 5:2 ბრიუნე 59'43 (2)

რაოდენ მძიმე დღეშიც არ უნდა იყოს მონრეალი, ლიგის ყველაზე სახელოვანი კლუბის ქალაქში ჰოკეი ყოველთვის უპირველესი სპორტია და მის მოთამაშეებს განსაკუთრებით ბევრი მოეთხოვებათ. ცხადია, პირველ საშინაო მატჩში, რომლის დაწყებამდე გამართულ გახსნის ულამაზეს ცერემონიალზეც დიად მორის რიშარს უკანასკნელი პატივი მიაგეს, მონრეალელები თავს არ შეირცხვენდნენ. სტარტზე ორი შეხვედრის წაგების მიუხედავად, ისინი ბრძოლას მოწყურებულნი გავიდნენ ყინულზე და პირველივე პერიოდში გახსნეს ანგარიში, მეორეში კი ორჯერ რიცხვმრავლობის გამოყენების ხარჯზე უპირატესობა გაიმყარეს. სპეცბრიგადებს ძალზე კარგად მოერგო დებიუტანტი მცველი ანდრეი მარკოვი. ახალბედამ მშვენიერი პასებით საკუ კოიკუ და პატრის ბრისბუა ახეირა და ამ უკანასკნელთან ერთად მატჩის მთავარი გმირი გახდა. „ვფიქრობ, მარკოვის სახით კარგი შემტევი მცველი მოგვემატა. სამომავლოდ იგი პატრისს შეუწყვილდება და ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი დუეტი შეიქმნება“ — ეს ქების სიტყვები მონრეალელ ბენუა ბრიუნეს ეკუთვნის.

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ — ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 1:3
0:0 0:3 1:0
0:1 დედმარში 24'32 (2); 0:2 ფორსბერგი 36'10 (1); 0:3 პოდინი 38'53 (2); 1:3 ჰეი 59'10 (1)

ახლა, როდესაც მსაჯები წესების მცირეოდენ დარღვევასაც კი არ პატიობენ მოთამაშეებს, განსაკუთრებულ ყურადღებას გუნდების არათანაბარ შემადგენლობაში თამაში იქცევს. ამის მაგალითი თუნდაც ეს მატჩი იყო. მასპინძლებმა 9-ჯერ (!) ვერ გამოიყენეს რიცხვმრავლობა. სამაგიეროდ, კოლორადომ მესამე ჰოკეისტის გაძევება ძვირად დაუსვა მეტოქეს. მერე კი პეტერ ფორსბერგმა ჩინებული სოლო-რეიდით წლეულს პირადი ანგარიში გახსნა და საბოლოოდ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. როგორც იქნა, თავი გამოიჩინეს „ეველანშის“ ლიდერებმა. ფორსბერგი უკვე ვახსენეთ, სახელოვანმა რეი ბურკმაც 2 პასი მიითვალა.

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ — ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 5:2
1:0 3:1 1:1
1:0 ონილი 16'18 (1); 2:0 ბრინდამორი 20'41 (1); 3:0 ბატალია 24'28 (1); 3:1 ბალი 34'02 (2); 4:1 ოზოლინში 35'37 (1); 4:2 კინი 50'35 (1); 5:2 ვესტლუნდი 55'08 (1)

დალასი საბრძოლო განწყობაზე არ იყო — გუნდმა, რომელსაც ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი დაცვა ჰყავს, ხუთი შაიბა გაუშვა. ამჯერად ძირითადი მეკარე ედ ბელფორი ისვენებდა და მის ნაცვლად კარს გამოუცდელი მარკო ტურეკი იცავდა, მაგრამ ეს „ვარსკვლავის“ როდი ამართლებს. საკმარისია ითქვას, რომ გადამწყვეტი, მეოთხე გოლი სტუმრებმა რიცხვმრავლობაში გაუშვეს.

ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲖᲘᲜᲘ

REUTERS

ედმონტონელთა მეკარე ტომი სალომ ყველა დარტყმა როდი გაუშვა

I ჯგუფი

რუსეთი 3:0 ლუქსემბურგი

1:0 ბეზნიკინი (19), 2:0 ხოხლოვი (67), 3:0 ტიტოვი (90)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ხოხლოვი, სტერტინი, თეთრაძე, ბეზნიკინი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, მოსტოვოი, ბესონასტნიხი

ლუქსემბურგი: ფელე, ფინეი (ფერონი 86), შულ



REUTERS ბონტვიდეოდან

ნაგვიანევი

ალარ ამოიწურა სიდნეის ოლიმპიადის თემა და ეს არის... მხოლოდ ამ კვირას მოხდა ურუგვაიში ის ამბავი, ჩვენთან ბევრად უფრო დროულად რომ მოესწრო: ურუგვაის პრეზიდენტმა ხორხე ბატლმა სიდნეის ოლიმპიადიდან შინ მიბრუნებული ოლიმპიელები მიიღო, თუმც, მოფერებით მარტო ერთს მოეფერა, ველოსიპედ მილტონ ვანანტს, რომელსაც ახლა ოლიმპიური კი არა, ურუგვაული სპორტული ღირსების მედალი ჩამოუკიდია, მაგრამ ოლიმპიურიცა აქვს: პირველი ურუგვაელია 1964 წლიდან, ვინც თავის ქვეყანაში ოლიმპიურ პრიზიორად დაბრუნდა... სიდნეის ოლიმპიადიდან, ცხადია.

AP ფოტოდან

საკრივო ქალვაჟური

ირიჩელ დურანი, ქალიშვილი რობერტო დურანისა მატრიარქალური ოჯახისთვის მისწრება-საპატარძლოა. ოჯახის ღირსებას იგი ალბათ, სულ მუშტებით დაიცავს, როგორც თავისი საკრივო ღირსება დაიცვა ეს უკვე მეორედ. მამამისი დიდი მოკრივე იყო, ხოლო ვენესუელელი ლეო გომესის მამაზე რა გითხრათ, თვითონ ლეოა მაგარი: მსოფლიო კრივის ასოციაციის სუპერ-ფლაივეიტში იაპონელი ჰიდეკი ტოდაკა მე-7 რაუნდში დაანოკაუტა და ჩემპიონი გახდა.

ჯგუფური ფოტო

REUTERS ტირანიდან

ჰალსტუხიანი პირი ორ ჰალსტუხიანთან ერთად სპორტსმენებში რომ ჩამდგარა, ალბანეთის პრემიერ-მინისტრი, ილირ მეტა გახლავთ (შუაში). როდის იყო, ალბანური ოფიციოზი ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებთან გადაღებული ფოტოებით რომ გვამარაგებდა, მაგრამ ახლა სხვა შემთხვევაა: თითოეულ ფეხბურთელს კორეა-იაპონია 2002-ის შესარჩევ ციკლში ბერძენთა დამარცხებისთვის 10 ათას დოლარს ჰპირდებიან (პირველი შემთხვევა ქვეყნის ისტორიაში) და მაღალჩინოსანი ამ ამბავზე ოფიციალური დასტურის სათქმელად მისულა.

REUTERS ლონდონიდან

ანას მაჯაზე

ანა კურნიკოვა მარტო იმას კი არ ამტკიცებს, რომ მხოლოდ ბურთები უნდა ხტოდნენ, არამედ იმასაც, რომ საათი ადამიანის მეგობარია, მით უფრო, თუ იგი ფირმა „ომეგამ“ გამოუშვა.

თავმოიანი

იოლანდა არიოლა ბეისბოლის ფანია, ხოლო მის თავზე დაკოსებულ ლათინურ ასოს MTV-სთან არანაირი კავშირი არა აქვს; „სიეტლ მერინერი“ გახლავთ ის გუნდი, რომელსაც მისის არიოლა ეტრფის და გასაგებია, „მერინერი“ რა სიმბოლოთიც იწყება. საერთოდ, მსგავსი თინეიჯერობისთვის ნახსენები ქალბატონი ცოტა ასაკიანი ჩანს, მაგრამ ფანობამ ასაკი არ იცის.

REUTERS სიეტლიდან

REUTERS ნიუიორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge